პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 9 (7985) | სამშაბათი, 12 იანვარი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

ღირსშესანიშნავ ისტორიულ თარიღს — რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავს საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი ეგებება შესანიშნავი წარმატებებით კომუნიზმის მშენებლობაში.

## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩატარების შესახებ

იმის გამო, რომ 1954 წლის 12 მარტს ვადა გადის სსრ კავშირის მესამე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რწმუნებებს, სსრ კავშირის კონსტიტუციის 54 მუხლის საფუძველზე, რომლითაც დადგენილია, რომ ახალ არჩევნებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ნიშნავს არაუგვიანეს ორი თვისა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რწმუნებათა ვადის გასვლის დღიდან, და „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 72 მუხლის შესაბამისად, რომლითაც გათვალისწინებულია, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღე ცხადდება არაუგვიანეს ორი თვისა არჩევნების დადამდე, და რომ არჩევნები ეწყობა არასამუშაო დღეს, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები კვირას, 1954 წლის 14 მარტს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1954 წ. 11 იანვარი.

## პარტიის სასოფლო რაიკომის ინსტრუქტორი

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყველა საჭირო პირობას ქმნიან, რათა წარმატებით გადაწყდეს საყოველთაო-სახალხო ამოცანა — ჩვენს ქვეყანაში შეიქმნას სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვე. მაგრამ სწორი არ იქნება ვიფიქროთ, რომ ეს პირობები თავისთავად უზრუნველყოფენ საქმის წარმატებას. ისინი რომ გამოვიყენოთ და სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობა უზრუნველვყოთ, საჭიროა პარტიული ორგანიზაციების დიდი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა, საჭიროა კოლმეურნეთა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა შემოქმედებითი ენერგიის მობილიზაცია იმ ამოცანების განსახორციელებლად, რომლებიც დასახა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა.

ახლა პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე ხორციელდება რაიონული პარტიული აპარატის გარდაქმნა, წესდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სასოფლო რაიკომების ახალი სტრუქტურა. გარდაქმნის ძირითადი მიზანია აღმოიფხვრას გაუპიროვნება კოლმეურნეობებისა და მტს-ებისადმი ხელმძღვანელობაში, მიუახლოვდეს პარტიული ხელმძღვანელობა სასოფლო-სამეურნეო წარმოებას.

როგორც ცნობილია, სოციალისტური სახელმწიფოს მხრივ კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობაში უმნიშვნელოვანესი დასაყრდენი პუნქტებია მანქანა-ტრაქტორთა სადგურები. ისინი არიან ახლა საკოლმეურნეო წარმოების ხელმძღვანელები და ორგანიზატორები, ისინი წარმართავენ საკოლმეურნეო ეკონომიკის განვითარებას. მათ ეკუთვნით გადამწყვეტი როლი სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომ აღმავლობაში. გაითვალისწინა რა ეს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა საჭიროდ ცნო სასოფლო რაიკომს თვითეულ მტს-ზე ჰყავდეს მუშაკთა ჯგუფი პარტიის რაიკომის მდივნის მეთაურობით. რაიკომის თვითეული ჯგუფის ინსტრუქტორები მომსახურებას უწევენ გარკვეულ კოლმეურნეობებს. რაიკომის მუშაკთა ასეთ ჯგუფს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის მდგომარეობისათვის მტს-სა და იმ კოლმეურნეობებში, რომლებსაც მტს-ი ემსახურება, აგრეთვე პარტიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

რაიონული პარტიული აპარატის გარდაქმნა გულისხმობს რაიკომების ინსტრუქტორთა როლის გაძლიერებას. დღემდე მათი როლი ბევრ რაიკომში დამცირებული იყო, მთელ რიგ ადგილებში ინსტრუქტორები უბრალო კანცელარისტებად გადაიქცნენ. ისინი იძულებული არიან ისხდნენ კაბინეტებში, ადგინონ ყოველგვარი ცნობები, მოხსენებითი ბარათები, შეკრიბონ სტატისტიკური მონაცემები, ხოლო თუ ადგილებზე მიდიან, უმთავრესად იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტი ფაქტი და ცნობები შეკრიბონ ბიუროს სხდომისათვის ან მორიგ პლენუმზე მდივნის მოხსენებისათვის. ასეთ მდგომარეობაში ინსტრუქტორები არსებითად კარგავდნენ იმის უფლებას, რომ მათ ინსტრუქტორები ეწოდებოდეთ, რადგან ისინი არავის არ უწევდნენ ინსტრუქტაჟს, იშვიათად დადიოდნენ საკოლმეურნეო პარტორგანიზაციებში, სისტემატურ დახმარებას არ უწევდნენ მდივნებს, ყოველდღიური ურთიერთობა არ ჰქონდათ კომუნისტებთან და კოლმეურნეობათა უპარტიო აქტივთან.

ინსტრუქტორთა მუშაობის ასეთ კანცელარიულ-ბიუროკრატულ სტილს გადაჭრით უნდა მოეღოს ბოლო. ინსტრუქტორის ადგილი კაბინეტში კი არ არის, არამედ კოლმეურნეობაში, პირველადს ორგანიზაციაში, თვით მასებში. ინსტრუქტორი იმდენ ხანს უნდა იყოს საკოლმეურნეო პარტორგანიზაციებში, რამდენიც საჭიროა საქმის ინტერესებისათვის. მისი ძირითადი ამოცანაა მოაწყოს და შეამოწმოს პარტიულ გადაწყვეტილებათა შესრულება, დაეხმაროს პირველადს პარტორგანიზაციებს, მათს მდივნებს პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის მოგვარებაში. ინსტრუქტორებმა მთელი თავიანთი საქმიანობით უნდა შეუწყონ ხელი იმას, რომ გაფართოვდეს და განმტკიცდეს რაიკომების ურთიერთობა პარტორგანიზაციებთან, კომუნისტებთან, მტს-ების მუშაკებთან და კოლმეურნეებთან.

ამოცანა ის არის, რომ შევარჩიოთ პარტიული აქტივიდან ინსტრუქტორებად ნიჭიერი ორგანიზატორები, რომლებსაც აქვთ საკმარისი პარტიულ-პოლიტიკური მომზადება, იციან სასოფლო-სამეურნეო წარმოება. თვითეული პარტიული ორგანო, თუ მას სურს უზრუნველყოს სისტემატური ინსტრუქტაჟი და შესრულების შემოწმება, უნდა ზრუნავდეს იმისათვის, რომ მისი აპარატი დაკომპლექტებული იყოს ისეთი მუშაკებით, რომლებმაც იციან საქმე, უნარი შესწევთ განახორციელონ პარტიული ორგანიზაციების წინაშე მდგომი დიდი და რთული ამოცანები.

ინსტრუქტორმა პირველადი პარტორგანიზაციების მდივნებს უნდა ასწავლოს ხელმძღვანელობის ოსტატობა, დაეხმაროს მათ უფრო ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება საკოლმეურნეო მეურნეობის უსწრაფესი აღმავლობისათვის, რეზერვების უკეთ გამოყენებისათვის. მაგრამ სხვებისათვის ავტორიტეტიანი მრჩეველი რომ იყოს, თვითონ ინსტრუქტორმა ბევრი რამ უნდა იცოდეს, ბეჯითად სწავლობდეს, იმაღლებდეს თეორიულ და კულტურულ დონეს, იძენდეს საჭირო ცოდნას აგროტექნიკის, საკოლმეურნეო წარმოების მექანიზაციის, ორგანიზაციის დარგში. რაიკომების, მათი მდივნების პირდაპირი მოვალეობაა მუდამ იმუშაონ ინსტრუქტორებთან, მისცენ მათ რჩევა-მითითება, გააცნონ ზემდგომი პარტიული ორგანოების გადაწყვეტილებანი, ყოველი ღონისძიებით შეუწყონ ხელი მათი პოლიტიკური და საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლებას.

ბევრმა სასოფლო რაიკომმა უკვე შექმნა კარგი ინსტრუქტორთა აპარატი და სწორად იყენებს მას. „პრავდაში“ გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინგრადის ოლქის ვოლოსოვოს რაიკომის მდივნის ამხ. პისაკინის სტატია, რომელიც მოგვითხრობდა, რომ რაიკომმა ინსტრუქტორებად შეარჩია და დაამტკიცა პოლიტიკურად მცოდნე კომუნისტები, რომლებსაც აქვთ ორგანიზაციული ჩვევები, გაცნობილი არიან პარტიული მუშაობის პრაქტიკას. ყველაზე გამოცდილი და ნიჭიერი ინსტრუქტორები დიდ და ჩამორჩენილ კოლმეურნეობებს ემსახურებიან. მოწესრიგებულია ინსტრუქტორთა სწავლა: მათ ლექციებსა და მოხსენებებს უკითხავენ პარტიული მშენებლობის საკითხებზე, აგრონომიის თემებზე. ვოლოსოვოს რაიკომმა მცირე ხანში შეძლო გაეუმჯობესებინა პარტიულ-პოლიტიკური სწავლა მტს-ებსა და კოლმეურნეობებში.

მაგრამ ყველგან ასე როდია საქმე. რაიონული პარტიული აპარატის გარდაქმნა მთელ რიგ ადგილებში ნელა მიმდინარეობს და ჯერჯერობით ფორმალურ ხასიათს ატარებს. მაგალითად, მოლოტოვის ოლქის კუნგურის რაიკომმა განსაზღვრა, თუ კოლმეურნეობათა რა ჯგუფებს უნდა გაუწიონ მომსახურება ინსტრუქტორებმა, მაგრამ ინსტრუქტორების მუშაობისადმი ინტერესს არ იჩენს, საჭირო დახმარებას არ უწევს მათ. ამ რაიკომის მდივნები ამხ. გოლოვანოვი და მედვედევი ჯეროვნად ვერ ხელმძღვანელობენ ინსტრუქტორთა მუშაობას, არ იციან, თუ რას აკეთებენ ინსტრუქტორები კოლმეურნეობებში.

არსებითად არ გარდაქმნილა პარტიის კურსკის ოლქის სტრელეცკოეს რაიკომის აპარატის მუშაობა. ფორმალურად აქ შედგენილია განრიგი, თუ ვინ რომელ კოლმეურნეობებს უნდა გაუწიოს მომსახურება. ნამდვილად კი ინსტრუქტორები უმთავრესად კვლავ ინფორმაციაზე მუშაობენ და პირველადს პარტორგანიზაციებს ბიუროს სხდომებზე ამა თუ იმ საკითხის განხილვის წინ ამოწმებენ. ასეთი ფაქტები შემჩნეულია სხვა ოლქებშიც.

თუ ინსტრუქტორთა მუშაობა არ გავაუმჯობესეთ, ისე ვერ გავაძლიერებთ პარტიული კომიტეტების მაორგანიზებელ როლს. ინსტრუქტორი სწორედ იმიტომ უნდა ატარებდეს თავისი დროის მეტნაწილს კოლმეურნეობაში, პირველადს პარტორგანიზაციაში, რომ განმტკიცდეს რაიკომის კავშირი კომუნისტებთან, კოლმეურნეთა ფართო მასებთან, რომ რაიკომი უკეთ იცნობდეს ადამიანებს, ამჩნევდეს და აწინაურებდეს ნიჭიერ მუშაკებს, სრული წარმოდგენა ჰქონდეს ყველა პროცესსა და მოვლენაზე, რომლებიც რაიონში ხდება.

ცხოვრება ყოველგვარ გადაწყვეტილებაზე უფრო მდიდარი, უფრო მრავალფეროვანია. ცხოვრებას ვერავითარ დღის წესრიგში ვერ ჩატევ. მუდამ ვიყოთ თვით მასებში, ვმუშაობდეთ ადამიანებთან, ვავითარებდეთ მათს შემოქმედებითს ინიციატივასა და აქტივობას, მხარს ვუჭერდეთ და ვავრცელებდეთ ახალს, მოწინავეს—აი რა არის პარტიული მუშაობის არსი. ვთქვათ, სადღაც ძვირფასი ინიციატივა წარმოიშვა. დროზე შევნიშნოთ იგი, ისე მოვაწყოთ, რომ ეს ინიციატივა არ ჩაკვდეს, ყოველი ღონისძიებით დავუჭიროთ მას მხარი — ამას გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მორიგი მოხსენების დაწერას. აი სწორედ აქ უნდა გამოვლინდეს სრულად ინსტრუქტორის როლი, რომელსაც თავისი მუშაობის ხასიათის მიხედვით მუდამ უნდა ჰქონდეს ურთიერთობა არა მარტო პარტიულ მუშაკებთან, არამედ მოწინავე კოლმეურნეებთან, ტრაქტორისტებთან, რიგითს ადამიანებთანაც, გულისხმიერად ხვდებოდეს მათს განწყობილებას, მოთხოვნილებას, საჭიროებას.

ახალ პირობებში ინსტრუქტორთა მუშაობის პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ზოგიერთი მათგანი, რომელსაც ყოველდღიურ გეზს ვერ აძლევს რაიკომის მდივანი, ვერ პოულობს თავის ადგილს, ადგება კოლმეურნეობის თავმჯდომარის, პირველადი პარტორგანიზაციის მდივნის შეცვლის გზას, ზოგჯერ მბრძანებლობასაც კი იწყებს. ასეთი უვარგისი პრაქტიკა უნდა დავგმოთ, რადგან იგი მხოლოდ ვნებს საქმეს, ბოჭავს კოლმეურნეობებისა და მტს-ების მუშაკთა ინიციატივას.

ინსტრუქტორის მუშაობის სიმძიმის ცენტრი უნდა გადავიტანოთ პირველადი პარტიული ორგანიზაციებისათვის დახმარებასა და ხელის შეწყობაზე. ინსტრუქტორის ამოცანაა ბეჯითად იბრძოლოს, რათა გაძლიერდეს პირველადი პარტორგანიზაციების როლი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში, გაძლიერდეს მათი გავლენა კოლმეურნეობებსა და მტს-ებში საქმის მდგომარეობაზე.

დაეხმარონ რაიკომებს გამოცდილი ინსტრუქტორების შერჩევაში, მათი მუშაობის ახალი მოთხოვნების შესაბამისად მოწყობაში — აი რა არის პარტიის საოლქო კომიტეტების დიდმნიშვნელოვანი მოვალეობა. სამწუხაროდ, ზოგიერთი საოლქო კომიტეტი დამაკმაყოფილებლად ვერ ასრულებს ამ ამოცანას, ნაკლებად იჩენს ინტერესს რაიკომების ინსტრუქტორთა მუშაობისადმი. ასეთებია, მაგალითად, მოლოტოვისა და ნოვგოროდის საოლქო კომიტეტები. ნოვგოროდის ოლქში დღემდე არ დამთავრებულა რაიკომების ინსტრუქტორთა შერჩევა მტს-ების ზონების მიხედვით ჯგუფებში სამუშაოდ.

რაიკომების ინსტრუქტორები სოფლად პარტიულ მუშაკთა ყველაზე მრავალრიცხოვანი რაზმია. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რაც კი საჭიროა, რათა გავაძლიეროთ მათი როლი, ჩავაბათ აქტიურ მუშაობაში, რომ მთელი ძალები და საშუალებანი დავრაზმოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად. ეს არის იმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობა, რომ გაუმჯობესდეს სასოფლო რაიკომებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების საქმიანობა სოფლად, გაძლიერდეს მათი ავანგარდული როლი სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლაში.

„პრავდის“ 11 იანვრის მოწინავე.

## მწყობრში ჩადგა მინგეჩაურის ჰესის პირველი რიგი

მინგეჩაური, 10 იანვარი. (საკდესი). ათასობით ადამიანი შეიკრიბა დღეს ბოზ-დაღის მთის შტოებთან, მტკვრის სანაპიროზე, რომ დასწრებოდა მინგეჩაურის ჰიდროელექტროსადგურის პირველი რიგის ამუშავებისადმი მიძღვნილ ზეიმს.

ზეიმზე ჩამოვიდნენ ბაქოს მენავთობეები, ახლო მდებარე რაიონების კოლმეურნეები, მეცხოველეები, მევენახეები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

ჰესის შენობასთან გაიმართა მიტინგი, რომელიც მიეძღვნა მშენებელთა დიდ გამარჯვებას. მინგეჩაურის ჰესის პირველი რიგის მშენებლობის დამთავრების შესახებ მოხსენება გააკეთა მშენებლობის უფროსმა ამხ. ისლამ-ზადემ.

აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს და რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მშენებელთა კოლექტივს მიესალმა აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ყულიევი.

საპასუხო სიტყვებში მშენებლებმა გამოთქვეს თავიანთი მხურვალე სიყვარული და მადლობა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი საბჭოთა აზერბაიჯანის ეკონომიკისა და კულტურის აყვავებაზე მუდმივი ზრუნვისათვის.

ტურბინების დარბაზის მემანქანემ ამხ. სალმანოვმა, რომელიც ერთ-ერთი პირველი მოვიდა მშენებლობაზე, მემონტაჟეთა ბრიგადირმა ამხ. გოშმანოვმა და სხვებმა თავიანთ სიტყვებში აღნიშნეს ხალხთა მეგობრობის დიადი ძალა, რომელიც მკაფიოდ გამომჟღავნდა მინგეჩაურის ჰიდროკვანძის მშენებლობაზე.

მშენებლობაზე ხელიხელჩაკიდებული შრომობენ ათობით ეროვნების ადამიანები. ჩვენი ქვეყნის ასობით საწარმო და სამეცნიერო დაწესებულება ეხმარება მშენებლობას, უგზავნის მას მოწყობილობას, მასალებს, ტექნიკურ პროექტებს.

მშენებელთა დიდ შრომითს აღმავლობაზე, ახალ სოციალისტურ ვალდებულებებზე ილაპარაკეს თავიანთ სიტყვებში ინჟინერმა კუგარლინსკაიამ, ოსტატმა მოროზოვმა, შოფერმა ბაგირიანმა და სხვებმა.

მიტინგი დამთავრდა. დგება მინგეჩაურის ჰესის ორი პირველი ტურბინგენერატორის ამუშავების საზეიმო წუთი.

აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. იაკუბოვი ჰრის ალისფერ ლენტს. ამუშავდნენ მძლავრი ტურბინები, რომლებიც გამოიმუშავებენ ელექტროენერგიას. ეს ელექტროენერგია მაღალვოლტიანი გადამცემი ხაზებით მიდის ბაქოში, კიროვაბადში და ახლო რაიონებში.

## ნაძვისხის დღესასწაული კრემლში

დამთავრდა სასკოლო არდადეგები. წელს არდადეგები აღინიშნა ნაძვისხის საუცხოო დღესასწაულით კრემლის დიდ სასახლეში. აქ, 10 იანვარს, დიდი კონცერტის შემდეგ თოვლის ბაბუამ რჩევა-დარიგება მისცა ბავშვებს და უსურვა კარგად შეუდგნენ მეცადინეობას სკოლაში, გაახარონ სამშობლო ფრიადი ნიშნებით.

ბევრმა მოსწავლემ აღფრთოვანებული, მგრძნობიარე ჩანაწერი დატოვა შთაბეჭდილების წიგნში.

— მივდივართ შინ ბედნიერნი და დიდ მადლობას ვუძღვნით პარტიასა და მთავრობას, — ჩაწერეს მოსკოვის 89-ე სკოლის პიონერებმა.

მოსკოველ მოსწავლე ქალთა ჯგუფი წერს: „პირობას ვიძლევით ამ სასიხარულო დაუვიწყარი დღესასწაულის საპასუხოდ ჩინებულად ვისწავლოთ“.

კრემლში საახალწლო ნაძვისხის დღესასწაულით ბრწყინვალედ გამოიხატა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვა მოზარდი თაობისათვის.

კრემლის მთელი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე იქ არასოდეს არ ყოფილა იმდენი ბედნიერი ბავშვი, რამდენიც ამ დღეებში. ათი დღის მანძილზე კრემლის დიდ სასახლეში საახალწლო ნაძვისხის დღესასწაულს დაესწრო 50 ათასამდე ბავშვი. დედაქალაქის მოსწავლეებს გარდა აქ იყვნენ მოსკოვის ოლქის, უკრაინის სსრ, ლენინგრადის, კალინინის, იაროსლავლისა და სხვა ოლქების ბავშვები. დამსწრეთა შორის იყვნენ უცხო ქვეყნებიდან — ჩინეთიდან, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, ინგლისიდან, იტალიიდან, საფრანგეთიდან ჩამოსული სტუმრებიც.

მთელი სასკოლო არდადეგების დროს დღეში ორჯერ ანთებდნენ საახალწლო ნაძვისხეს გიორგის დარბაზში. დედაქალაქის საუკეთესო თეატრების 600-ზე მეტი მსახიობი და მუსიკოსი იღებდა ყოველდღე მონაწილეობას ბავშვებისათვის გამართულ დღესასწაულში. ბავშვებმა კრემლში საახალწლო საჩუქრები მიიღეს.

მეტი წილი ბავშვები მშობლებთან ერთად მოდიოდნენ კრემლში. მოზრდილებიც ათვალიერებდნენ კრემლის ისტორიულ ძეგლებს, ისინი იყვნენ მიძინებისა და ხარებობის ტაძრებში, კრემლის დიდი სასახლის დარბაზებში. მარტო საჭურვლის დარბაზი 80 ათასამდე კაცმა დაათვალიერა (საკდესი).

## სტუმრად მეგობრებთან

მახარაძე. (საკ. კორ.). სოფელ შრომაში ჩამოსულმა უკრაინელ კოლმეურნეთა დელეგაციამ 10 იანვარს შეისწავლა კოლმეურნეობის ეკონომიკა, შეამოწმა 1953 წელს დადებული სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების შესრულება, გაეცნო მოწინავე მეჩაიეთა — სოციალისტური შრომის გმირების ტატიანა ჩხაიძის, ელენე ხელაძის და სხვათა გამოცდილებას.

თავის მხრივ შრომელმა კოლმეურნეებმა დიდი გულისყურით მოისმინეს მეგობარი კოლმეურნეობის წარმომადგენლების — მოწინავე მწყემსის საველ ბრაუკოს საუბარი მის გამოცდილებაზე: ს. ბრაუკო 523 ცხვარს უვლის, თვითეულ ცხვარზე 4,8 კილოგრამის ნაცვლად 6,04 კილოგრამი მატყლი მიიღო. ასევე დიდი წარმატება მოიპოვა მოწინავე მეღორემ ალექსანდრა ხოროკამ, რომელიც 13 დედალორს უვლის და თვითეულ დედალორზე შარშან 19,6 გოჭი მიიღო. ნამატის მიღების გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის ხოროკას გასულ წელს პრემია-წანამატის სახით კოლმეურნეობიდან 10 გოჭი ერგო.

მოწინავეთა გამოცდილების გაცნობის შემდეგ მეგობარ კოლმეურნეობათა შორის გაფორმდა სოციალისტური შეჯიბრების ახალი ხელშეკრულება 1954 წლისათვის, რომელსაც ორივე კოლმეურნეობის წარმომადგენლებმა საზეიმო ვითარებაში მოაწერეს ხელი.

საღამოს ძვირფასი სტუმრების თანდასწრებით მოხდა კოლმეურნეობის კულტურის სახლის საზეიმო გახსნა. კულტურის სახლი შარშან აშენდა, იგი მილიონნახევარი მანეთი დაჯდა. მდიდრულად არის გაფორმებული მაყურებელთა დარბაზი, მის ჭერზე მაღალმხატვრული გემოვნებით შესრულებულია ქართველ და უკრაინელ კოლმეურნეთა ურღვევი მეგობრობის ამსახველი სურათები.

* * *

— ზეიმია დღეს ჩვენს კოლმეურნეობაში, — თქვა შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა მ. თრაგველიძემ. — მოუთმენლად მოველოდით ძვირფას მეგობრებს, და აი ისინი ჩამოვიდნენ. გენიჩესკელებთან ჩვენ დიდი ხნის მეგობრობა გვაკავშირებს. ამიტომ იყო, რომ მათი წარმომადგენლების ჩამოსვლას ჩვენი კოლმეურნეობის ყველა წევრი აღფრთოვანებით შეხვდა.

ბევრი რამ მოგვცა უკრაინელ კოლმეურნეებთან სოციალისტურმა შეჯიბრებამ. შეჯიბრებაში ნაკისრ ვალდებულებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის ჯერ კიდევ 1940 წელს კოლმეურნეობა დაჯილდოებულ იქნა „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

უკრაინელ კოლმეურნეებთან შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა განაღდების შედეგად ჩვენმა კოლმეურნეობამ გაადიდა ჩაის, ციტრუსებისა და ერთწლიანი კულტურების მოსავლიანობა, გაზარდა კოლმეურნეობის შემოსავალი და შრომადღის ღირებულება. ამას ნათლად ადასტურებს ის ფაქტიც, რომ 13 კოლმეურნეს სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება მიენიჭა, ხოლო 213 კოლმეურნე დაჯილდოებულია სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით.

სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებულ დიდ წარმატებებზე ისიც მეტყველებს, რომ მარტო შარშან კოლმეურნეობამ მოკრიფა და მრეწველობას ჩააბარა 875 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, 32 ტონით მეტი, ვიდრე 1952 წელს, და თვითეულ ჰექტარ პლანტაციაზე მიიღო 5.060 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. 120 პროცენტით არის შესრულებული ციტრუსოვანთა დამზადების სახელმწიფო გეგმა. კოლმეურნეობის ფულადმა შემოსავალმა 9,5 მილიონ მანეთს მიაღწია, რაც 800.000 მანეთით აჭარბებს წინა წლის შემოსავალს. ამის შედეგად გაიზარდა შრომადღის ღირებულება. მაღალი შემოსავლის შედეგად კოლმეურნეობამ განუყოფელ ფონდში ორ მილიონამდე მანეთი ჩარიცხა.

უკრაინელი მეგობრები კმაყოფილი არიან ჩვენი კოლმეურნეობის მიღწევებით. ჩვენ კიდევ უფრო გავაძლიერებთ ღონისძიებებს საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი განმტკიცებისათვის.



უკრაინის სსრ ხერსონის ოლქის გენიჩესკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის დელეგაცია მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თ ე ზ ი ს ე ბ ი

## რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის შესახებ (1654—1954 წლები)

### მოწონებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ

300 წლის წინათ, 1654 წლის იანვარში, პერეიასლავის რადამ უკრაინელი ხალხის მძლავრი ნებით გამოაცხადა რუსეთთან უკრაინის შეერთება. ამ ისტორიული აქტით დაგვირგვინდა თავისუფლებისმოყვარე უკრაინელი ხალხის ხანგრძლივი ბრძოლა უცხოელ დამმონებელთა წინააღმდეგ, რუსეთის ერთიან სახელმწიფოში რუს ხალხთან გაერთიანებისათვის. რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავი, როგორც თვალსაჩინო ისტორიული მოვლენა, დიდი დღესასწაულია არა მარტო უკრაინელი და რუსი ხალხისათვის, არამედ აგრეთვე საბჭოთა კავშირის ყველა ხალხისათვის.

შეერთებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა „ენითაც, საცხოვრებელი ადგილითაც, ხასიათითაც, ისტორიითაც ესოდენ მახლობელი“ (ლენინი) ორი დიდი ხალხის შემდგომი ისტორიული განვითარებისათვის.

სამუდამოდ დაუკავშირა რა თავისი ბედი მოძმე რუს ხალხს, უკრაინელმა ხალხმა იხსნა თავისი თავი უცხოელთა დამონებისაგან და უზრუნველყო თავისი ეროვნული განვითარების შესაძლებლობა.

„ამასთანავე რუსეთთან უკრაინის შეერთებამ ბევრად შეუწყო ხელი რუსეთის სახელმწიფოს განმტკიცებას და მისი საერთაშორისო ავტორიტეტის ამაღლებას“. საერთო მტრების — ცარიზმის, მებატონეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ, აგრეთვე უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაში იზრდებოდა და მტკიცდებოდა რუსეთისა და უკრაინის მშრომელთა მეგობრობა. იმპერიალიზმის ეპოქაში ამ ბრძოლას სათავეში ჩაუდგა მსოფლიოში ყველაზე რევოლუციური რუსეთის მუშათა კლასი, რომელსაც ხელმძღვანელობდა მისი მებრძოლი ავანგარდი — კომუნისტური პარტია. რუსეთის მუშათა კლასმა რუსეთის ხალხები მიიყვანა მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებამდე თვითმპყრობელობაზე, შემდეგ კი აგრეთვე მემამულეებსა და კაპიტალისტებზე.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ სამუდამოდ მოუღო ბოლო ყოფილი მეფის რუსეთის ხალხთა სოციალურ და ეროვნულ ჩაგვრას, შექმნა პირობები სოციალისტური ერების ჩამოყალიბებისათვის და საფუძველი ჩაუყარა მათს მჭიდრო თანამშრომლობას კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში.

უკრაინელი, რუსი და ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხების მეგობრობა და ძმური კავშირი მტკიცდებოდა და იწრთობოდა სამოქალაქო ომისა და უცხოეთის ინტერვენციის მკაცრ წლებში, სოციალისტური მშენებლობის პროცესში, გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ დიდი სამამულო ომის ისტორიულ ბრძოლებში. სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობა მრავალეროვანი საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფუძველი და მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების ყველა წარმატების მთავარი პირობაა.

სსრ კავშირის თავისუფალ და თანასწორუფლებიან ხალხთა ურღვევი მეგობრობის სულისჩამდგმელია კომუნისტური პარტია. სათავეში უდგას რა საბჭოთა კავშირის ხალხების ბრძოლას კომუნიზმის გამარჯვებისათვის, კომუნისტური პარტია განამტკიცებს მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირს — საბჭოთა საზოგადოების ურყევ საფუძველს. პარტია დაუცხრომლად ზრუნავს საბჭოთა კავშირში შემავალი ყველა ხალხის განვითარებისათვის, შეურიგებელ ბრძოლას ეწევა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის გამოვლინებათა წინააღმდეგ, ზრდის საბჭოთა ადამიანებს ხალხთა მეგობრობის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

სსრ კავშირის ხალხთა მთელი ისტორიული გამოცდილება თვალნათლივ მოწმობს, რომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს მათს მეგობრობას დიდ რუს ხალხთან, რომ უძლეველია ძმური კავშირისა და მჭიდრო თანამშრომლობის ძალა ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხისა, რომლებმაც კომუნისტური პარტიის წინამძღოლობითააშენეს სოციალიზმი და ახლა მტკიცე რწმენით მიდიან წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

## I.

1. 1654 წელს რუსეთთან უკრაინის შეერთება ორი დიდი მოძმე სლავი ხალხის — რუსი და უკრაინელი ხალხების მთელი წინანდელი ისტორიის კანონზომიერი შედეგი იყო. იგი განაპირობა რუსეთთან უკრაინის ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობის მრავალსაუკუნოვანმა განვითარებამ და შეესაბამებოდა ორივე ხალხის ძირეულ ინტერესებსა და მისწრაფებას.

რუსი, უკრაინელი და ბელორუსი ხალხები წარმოიშვნენ ძველი რუსი ეროვნების ერთიანი ფესვიდან, რომელმაც შექმნა ძველი რუსეთის სახელმწიფო — კიევის რუსეთი.

რუსეთის სოციალურ-ეკონომიურმა განვითარებამ ფეოდალიზმის პერიოდში, თათარ-მონღოლთა შემოსევის მძიმე დროს გამოიწვია ძველი რუსი ეროვნების ცალკეული ნაწილების განკერძოება. ერთიანი ძველი რუსი ეროვნებიდან თანდათანობით შეიქმნა სამი მოძმე ეროვნება — რუსი, უკრაინელი და ბელორუსი ეროვნებანი, რომელთაც აქვთ ენის, კულტურისა და ყოფაცხოვრების თავისებურებანი. მიუხედავად ყველა ისტორიული უკუღმართობის და დიდი განსაცდელისა, რუსმა, უკრაინელმა და ბელორუსმა ხალხებმა შეინარჩუნეს და საუკუნეებში გამოატარეს წარმოშობის ერთიანობის, ენისა და კულტურის სიახლოვის შეგნება, თავიანთი საერთო ბედის შეგნება.

2. ძველი რუსთა ქვეყნების დასუსტების შედეგად, რაც მნიშვნელოვანწილად თათარ-მონღოლი ხანების დაპყრობათა შედეგი იყო, ჩრდილო-აღმოსავლეთ რუსეთს მოწყვეტილი უკრაინის მიწაწყალი ნაწილ-ნაწილ დაგლიჯეს და ხელში ჩაიგდეს ლიტველმა, პოლონელმა და უნგრელმა ფეოდალებმა, სულთნის თურქეთმა და მისმა ვასალმა — ყირიმის სახანომ.

უკრაინის მეტი ნაწილი XVI საუკუნეში პანების პოლონეთმა დაიპყრო. ამას ხელი შეუწყო უკრაინელი მებატონე ფეოდალების მოღალატურმა პოლიტიკამ, რომელნიც პოლონელ პანებთან შეკავშირებულნი ცდილობდნენ ჩაეხშოთ ხალხის მასების ანტიფეოდალური ბრძოლა, განემტკიცებინათ და გაეფართოებინათ თავიანთი კლასობრივი ფეოდალურ-ბატონყმური პრივილეგიები, გაეძლიერებინათ მშრომელთა ექსპლოატაცია.

მიიტაცეს რა უკრაინის მიწაწყალი, პოლონელმა ფეოდალებმა (მაგნატებმა და შლიახტამ) უმძიმესი, საშინელი ბატონყმობის უღელი დაადგეს უკრაინას. ბატონყმური და ეროვნული ჩაგვრის სიმძიმე დააწვა გლეხობას, ქალაქის ღარიბ მოსახლეობას და კაზაკთა ქვედაფენებს. პოლონელ შლიახტას უკრაინელი გლეხები ადამიანებად არ მიაჩნდა, უხეშად თელავდა მათს ადამიანურ ღირსებას. პოლონელი პანები ვატიკანის შემწეობით სასტიკი იძულების ღონისძიებებით ნერგავდნენ უკრაინაში კათოლიციზმს, ამკვიდრებდნენ საეკლესიო უნიას, ახორციელებდნენ ძალით უკრაინელთა გაპოლონელების პოლიტიკას, აბუჩად იგდებდნენ უკრაინულ ენასა და კულტურას, ცდილობდნენ რა სულიერად დაემონებინათ უკრაინელი ხალხი და დაერღვიათ მისი კავშირი რუს ხალხთან.

უკრაინის ხალხის მასების მძიმე მდგომარეობას აორკეცებდა ფეოდალური ანარქია, რაც გამეფებული იყო პოლონეთის სახელმწიფოში და გამოიხატებოდა მაგნატებისა და შლიახტის აღვირახსნილი თვითნებობით, რომელნიც სისტემატურად ძარცვავდნენ და აოხრებდნენ უკრაინის მიწა-წყალს.

პოლონელი შლიახტების სახელმწიფოს უღელი და პოლონელი პანების შეუზღუდავი თვითნებობა უაღრესად აბრკოლებდა უკრაინის ეკონომიურ და კულტურულ განვითარებას. უკრაინის მოსახლეობას ტანჯავდა აგრეთვე თურქებისა და ყირიმის თათრების მუდმივი ყაჩაღური თავდასხმა.

რუსმა ხალხმა თათარ-მონღოლ და სხვა უცხოელ დამმონებელთა წინააღმდეგ ხანგრძლივი და თავდადებული ბრძოლით დაძლია ფეოდალური დაქსაქსულობა, დაიცვა თავისი ეროვნული დამოუკიდებლობა და შექმნა მძლავრი ცენტრალიზებული სახელმწიფო, რომლის დედაქალაქი იყო მოსკოვი. მოსკოვი გახდა რუსეთის სახელმწიფოს შექმნის საფუძველი და ინიციატორი, მისი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცენტრი.

რუსეთის ცენტრალიზებულმა სახელმწიფომ უდიდესი როლი შეასრულა რუსი, უკრაინელი, ბელორუსი და ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხების ისტორიულ ბედში. თავისი წარმოშობის დასაწყისიდანვე იგი იყო მიზიდულობის ცენტრი და დასაყრდენი მოძმე ხალხებისათვის, რომლებიც იბრძოდნენ უცხოელ დამმონებელთა წინააღმდეგ.

3. უკრაინელი ხალხი, რომელსაც ემუქრებოდა მოსპობის საფრთხე, მუდამ იბრძოდა უცხოელ დამმონებელთა უღლის წინააღმდეგ, თავისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, და ამავე დროს რუსეთთან შეერთებისათვის.

ფეოდალურ-ბატონყმური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ, აგრეთვე თურქ-თათართა შემოსევის წინააღმდეგ უკრაინელი ხალხის მასების ბრძოლის მსვლელობაში შეიქმნა სამხედრო ძალა კაზაკობის სახით, რომლის ცენტრი XVI საუკუნეში გახდა ზაპოროჟიეს სეჩი, რომელმაც პროგრესული როლი შეასრულა უკრაინელი ხალხის ისტორიაში. მაშინ, როცა შეძლებული კაზაკობის ზედაფენის ნაწილი დრო და დრო უთანხმდებოდა პოლონელ შლიახტას, რიგითი კაზაკების მასები გლეხობასთან და ქალაქის ღარიბებთან ერთად შეურიგებელ ბრძოლას ეწეოდნენ ფეოდალურ-ბატონყმური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ. გლეხთა და კაზაკთა აჯანყებები პოლონელი შლიახტის ბატონობისა და ადგილობრივი ექსპლოატატორების წინააღმდეგ განუწყვეტლივ ბობოქრობდა უკრაინასა და ბელორუსიაში. XVI საუკუნის დამლევს და XVII საუკუნის პირველ ნახევარში ყველაზე დიდი სახალხო აჯანყებანი უკრაინაში ხდებოდა კოსინსკის, ნალივაიკოს, ტარას ფეოდოროვიჩის (ტრიასილოს) და სხვათა ხელმძღვანელობით.

უკრაინელი და ბელორუსი მშრომელებისათვის, რომლებიც იბრძოდნენ უცხოეთის მონობისა და ადგილობრივ მჩაგვრელთა წინააღმდეგ, შთამაგონებელი მაგალითი იყო რუსეთში გლეხთა აჯანყება ივანე ბოლოტნიკოვის ხელმძღვანელობით (1606-1607), რომელშიც აქტიური მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე უკრაინის გლეხებმა.

პოლონელი და უკრაინელი ფეოდალებისაგან სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ ხალხის მასების ბრძოლა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ განმათავისუფლებელ ბრძოლასთან. ამ ბრძოლას მძლავრი ბიძგი მისცა რუსი ხალხის სახელოვანმა გამარჯვებამ მინინისა და პოჟარსკის ხელმძღვანელობით პოლონელ-შვედ ინტერვენტთა წინააღმდეგ ომში XVII საუკუნის დამდეგს.

იბრძოდა რა ეროვნული განთავისუფლებისათვის, უკრაინელი ხალხი ესწრაფოდა რუს ხალხთან შეერთებას. მიუხედავად ყველა დაბრკოლებისა, ვითარდებოდა და მტკიცდებოდა უკრაინის ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა რუსეთთან. ეს ხელს უწყობდა ორი მოძმე ხალხის დაახლოებას და კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენდა მათი კულტურის განვითარებაზე.

4. შლიახტის პოლონეთის უღლისაგან განთავისუფლება და სულთნის თურქეთისაგან შთანთქმის საფრთხის თავიდან აცილება უკრაინელი ხალხისათვის იყო ისტორიული აუცილებლობა, მისი ეროვნული არსებობის ძირეული საკითხი.

უკრაინელი ხალხის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სახელოვანი ფურცელი იყო 1648-1654 წლების სახალხო-განმათავისუფლებელი ომი. ამ ომის მთავარი და გადამწყვეტი ძალა იყო გლეხობა, რომელიც იბრძოდა პოლონელი და უკრაინელი ფეოდალ-მებატონეებისაგან სოციალური ჩაგვრისა და უცხოეთის ბატონობის წინააღმდეგ. გლეხობასთან ერთად განმათავისუფლებელ ომში გამოდიოდნენ კაზაკობისა და ქალაქის მოსახლეობის ფართო მასები, აგრეთვე კაზაკობის ზედა ფენა.

მაშინ, როცა გლეხთა და კაზაკთა მასები გმირულ ბრძოლას ეწეოდნენ სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ, უკრაინის ფეოდალური ზედა ფენა (კაზაკთა ზედა ფენა და წვრილი მემამულეები), მონაწილეობდა რა განმათავისუფლებელ ომში, ცდილობდა შეენარჩუნებინა და განემტკიცებინა უკრაინაში ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობა.

1648-1654 წლების განმათავისუფლებელ ომში უკრაინელი ხალხი ერთსა და იმავე დროს იბრძოდა პანების პოლონეთის უღლისაგან განთავისუფლებისათვის და რუსეთის ერთიან სახელმწიფოში მოძმე რუს ხალხთან გაერთიანებისათვის.

5. უკრაინელ ხალხს, რომელიც აღსდგა განმათავისუფლებელი ომისათვის, მეთაურობდა თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწე და მხედართმთავარი ბოგდან ხმელნიცკი. ბოგდან ხმელნიცკის ისტორიული დამსახურება ის არის, რომ მას, გამოხატავდა რა უკრაინელი ხალხის საუკუნეობრივ მისწრაფებასა და იმედს — მჭიდრო კავშირი ჰქონოდა რუს ხალხთან—და სათავეში ედგა რა უკრაინის სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების პროცესს, სწორად ესმოდა მისი ამოცანები და პერსპექტივები, ხედავდა, რომ შეუძლებელია უკრაინელი ხალხის ხსნა ისე, თუ იგი არ გაერთიანდებოდა დიდ რუს ხალხთან, მტკიცედ იბრძოდა რუსეთთან უკრაინის შეერთებისათვის.

სახალხო-განმათავისუფლებელი ომის პერიოდში ბოგდან ხმელნიცკის ხელმძღვანელობით უკრაინაში შეიქმნა დიდი შეიარაღებული ძალები, რომლებმაც მთელი რიგი ბრწყინვალე გამარჯვებები მოიპოვეს პოლონელი შლიახტის ჯარებზე და მტრისაგან გაათავისუფლეს უკრაინის დიდი ნაწილი. აღმდგარმა უკრაინელმა ხალხმა, ბოგდან ხმელნიცკისთან ერთად, თავისი წიაღიდან წარმოშვა ისეთი შესანიშნავი სამხედრო ხელმძღვანელები და სახალხო გმირები, როგორიც იყვნენ კრივონოსი, ნეჩაი, ბოგუნი და სხვები.

უკრაინელ ხალხთან ერთად პოლონელ და ლიტველ ფეოდალთა უღლის წინააღმდეგ, რუსეთთან შეერთებისათვის იბრძოდა მოძმე ბელორუსი ხალხი.

უკრაინელი ხალხის განმათავისუფლებელ ომში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მოლდავეთის გლეხები.

უკრაინელი ხალხის ბრძოლა პოლონელი პანების წინააღმდეგ ფართო გამოხმაურებას და თანაგრძნობას პოულობდა პოლონელ გლეხობაში, რომელიც იტანჯებოდა პოლონელი ფეოდალების უღელქვეშ. უკრაინელი ხალხის მზარდი განმათავისუფლებელი ბრძოლის გავლენით პოლონეთის მთელ რიგ რაიონებში ხდებოდა გლეხთა გამოსვლები, რომლებიც ასუსტებდნენ პოლონეთის ფეოდალურ სახელმწიფოს.

უკრაინელი ხალხის განმათავისუფლებელი ომის დიდ გაქანებას და მის თვალსაჩინო გამარჯვებებს ხელს უწყობდა რუსეთის ხალხის ფართო მასებისა და რუსეთის სახელმწიფოს მუდმივი დახმარება და მხარდაჭერა. უკრაინის ჯარების რიგებში იბრძოდა ბევრი დონელი კაზაკი, რუსი გლეხი და ქალაქის მცხოვრები.

იბრძოდა რა შლიახტის პოლონეთის წინააღმდეგ და იგერიებდა რა ყირიმელ თათართა ავაზაკურ თავდასხმებს, უკრაინა ეყრდნობოდა რუსეთის მუდმივ ეკონომიურ, დიპლომატიურ და სამხედრო დახმარებას. რუსეთიდან უკრაინაში მიდიოდა პურის, იარაღის, საომარი მასალის, მარილის, ლითონის ნაკეთობათა ალაღები. რუსი დიპლომატები იცავდნენ უკრაინის ინტერესებს უცხო სახელმწიფოებთან მოლაპარაკებისას და სხვ. რუსეთის ტერიტორიაზე თავშესაფარს პოულობდნენ უკრაინელი გლეხები და ქალაქის მცხოვრებნი, რომლებიც ტოვებდნენ თავიანთ კერას შლიახტის პოლონეთის ჯარებისა და ყირიმელი ხანების თავდასხმების დროს.

სახელმწიფოს განმტკიცების ინტერესებისათვის მეფის მთავრობა მხარს უჭერდა უკრაინელი ხალხის მისწრაფებას შეერთებოდა რუსეთს. გაითვალისწინა რა უკრაინის წარმომადგენელთა მრავალი თხოვნა, აგრეთვე მიიღო რა მხედველობაში ის საფრთხე, რომელიც ემუქრებოდა პოლონელ, ლიტველ და თურქ-თათარ დამპყრობთა მხრივ მოძმე უკრაინელი ხალხის არსებობას, საერო კრებამ მოსკოვში 1653 წლის 1 (11) ოქტომბერს დაადასტურა უკრაინის მიღება რუსეთის შემადგენლობაში და ომის გამოცხადება შლიახტის პოლონეთის წინააღმდეგ, უკრაინისა და ბელორუსიის განთავისუფლებისათვის. საერო კრებას, როგორც დოკუმენტები მოწმობს, ესწრებოდნენ ბოიარების, თავადაზნაურობის, სასულიერო პირებისა და მეფის მოხელეების გარდა, რუსეთის ქალაქების, ვაჭრების, გლეხებისა და მეთოფეთა წარმომადგენლები.

საერო კრების გადაწყვეტილება იყო მთელი რუსი ხალხის ნებისა და სურვილის გამოხატულება — დახმარება გაეწია მოძმე უკრაინელი ხალხისათვის მის განმათავისუფლებელ ბრძოლაში უცხოელ დამმონებელთა წინააღმდეგ.

6. რუსეთთან უკრაინის შეერთება საქვეყნოდ გამოცხადდა 1654 წლის 8 (18) იანვარს ქალაქ პერეიასლავის (ახლა კიევის ოლქის პერეიასლავ-ხმელნიცკი) რადაზე, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ პოლონელი შლიახტის უღლისაგან განთავისუფლებული უკრაინის მთელი მიწაწყლის მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლები. რადას ესწრებოდნენ რუსეთის მთავრობის ელჩები. ბოგდან ხმელნიცკიმ რადის მონაწილეებს მიმართა სიტყვით, რომელშიც მოაგონა უკრაინელი ხალხის ბრძოლისა და განსაცდელის მძიმე გზა, უკრაინელი ხალხისა, რომელიც იტანჯებოდა შლიახტის პოლონეთის უღელქვეშ, სულთნის თურქეთისა და ყირიმის ხანების ავაზაკური თავდასხმებით. ხმელნიცკიმ მოუწოდა რადას მიეღო გადაწყვეტილება რუსეთთან შეერთების შესახებ. რადის მონაწილეებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი რუსეთთან უკრაინის შეერთებას, „რათა სამარადისოდ ერთად ვიყვნეთ“ („რუსეთთან უკრაინის შეერთება“, დოკუმენტები და მასალები, ტომი III, 1953 წ., გვერდი 461).

უკრაინელი ხალხი აღფრთოვანებით შეხვდა პერეიასლავის რადის გადაწყვეტილებას რუსეთთან შეერთების შესახებ. ამ ამბების თანამედროვე მემატიანე სამოვიდეცი (რომან რაკუშკა-რომანოვსკი), ლაპარაკობდა რა შეერთების აქტზე, იუწყებოდა, რომ „მთელ უკრაინაში მთელმა ხალხმა ხალისით მიიღო იგი“.

პერეიასლავის რადის გადაწყვეტილებამ დააგვირგვინა საყოველთაო-სახალხო ბრძოლა რუსეთთან უკრაინის შეერთებისათვის, იგი გამოხატავდა უკრაინელი ხალხის საუკუნეობრივ მისწრაფებებსა და იმედს და მოასწავებდა მობრუნების ეტაპს მის ცხოვრებაში.

რუსეთთან უკრაინის შეერთებას, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის სათავეში მაშინ იდგნენ მეფე და მემამულეები, უდიდესი პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა უკრაინელი და რუსი ხალხების შემდგომი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული განვითარებისათვის.

პერეიასლავის რადის გადაწყვეტილებათა ისტორიული მნიშვნელობა უკრაინელი ხალხის ბედისათვის უწინარეს ყოვლისა ის იყო, რომ, შეუერთდა რა რუსეთს რუსეთის ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში, უკრაინა გადარჩა შლიახტის პოლონეთის უღელს და სულთნის თურქეთისაგან შთანთქმას.

შეერთების აქტით უკრაინელმა ხალხმა დაამკვიდრა ისტორიულად ჩამოყალიბებული მტკიცე და განუყრელი კავშირი რუს ხალხთან, რომლის სახითაც მან შეიძინა დიდი მოკავშირე, ერთგული მეგობარი და დამცველი თავისი სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

რუსეთის ძლიერ ცენტრალიზებულ სახელმწიფოსთან შეერთება ხელს უწყობდა უკრაინის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებას. XVII საუკუნის მეორე ნახევარში უკრაინის ეკონომიკა განუყოფელი ნაწილი გახდა შექმნილი სრულიად რუსეთის ბაზრისა. შეერთებამ ხელი შეუწყო აგრეთვე რუსეთის საწარმოო ძალების ზრდას და ორი მოძმე ხალხის კულტურულ ურთიერთგამდიდრებას.

რუსეთის შემადგენლობაში უკრაინის შესვლას აგრეთვე უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა. მან ლახვარი ჩასცა სულთნის თურქეთისა და შლიახტის პოლონეთის აგრესიულ მისწრაფებებს.

## II.

7. რუსეთისა და უკრაინის ეკონომიური რესურსების გაერთიანებამ გაამრავლა რუსი და უკრაინელი ხალხების ძალები მათი ერთობლივ ბრძოლაში უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ.

1709 წელს რუსეთის არმიამ, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ უკრაინის ნაწილები, პოლტავასთან გაანადგურა შვედი დამპყრობლები. უკრაინელმა ხალხმა ერთსულოვნად გაილაშქრა საზიზღარი მოღალატის, იეზუიტთა ნაშეგირდალის ჰეტმან მაზეპას წინააღმდეგ, რომელიც ცდილობდა შვედი და პოლონელი დამპყრობლების დახმარებით ჩამოეცილებინა უკრაინა რუსეთისაგან და აღედგინა უცხოელთა საძულველი ბატონობა.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთმა დიდი გამარჯვებანი მოიპოვა სულთნის თურქეთში, რაშიც თვალსაჩინო როლი შეასრულა დიდმა რუსმა მხედართმთავარმა ა. ვ. სუვოროვმა. ამ გამარჯვებათა შედეგად თურქეთის ბატონობისაგან განთავისუფლებულ იქნენ ყირიმი და უკრაინის სამხრეთი ნაწილები, რამაც დიდი დადებითი როლი შეასრულა მთელი უკრაინის საწარმოო ძალთა განვითარებაში, მიიღო რა მისთვის წინათ მიუწვდომელი გასასვლელი ზღვაში. შავი ზღვის ნაპირზე გაჩნდა უკრაინის უდიდესი სავაჭრო და კულტურული ცენტრები, ისეთები, როგორიცაა ხერსონი, ნიკოლაევი, ოდესა და სხვ.

XVIII საუკუნის დამლევს რუსეთს შეუერთდა უკრაინის მარჯვენა ნაპირის მხარეები, რომლებიც მანამდე პანების პოლონეთის უღელქვეშ იყვნენ (კიევშჩინა, ვოლინი, პოდოლიე).

1812 წლის სამამულო ომში ჩვენი ქვეყნის ხალხებმა, მათ შორის უკრაინელმა ხალხმა, რუსი ხალხის მეთაურობით, გაანადგურა ნაპოლეონის არმიის მტრული შემოსევა.

8. რუსეთთან უკრაინის შეერთებამ განამტკიცა უკრაინელი და რუსი ხალხების ერთიანობა მათს ერთობლივ ბრძოლაში რუს და უკრაინელ მებატონეთაგან სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ. ანტიფეოდალურ აჯანყებებს რუსეთში XVII-XVIII საუკუნეებში სტეფანე რაზინისა და ემელიანე პუგაჩოვის ხელმძღვანელობით, რომლებშიც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ბევრ ეროვნებათა გლეხებმა, ფართოდ გამოეხმაურნენ უკრაინელი ხალხის ჩაგრული მასები. ფეოდალურ-ბატონყმური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლაში უკრაინელმა გლეხობამ წარმოშვა ხალხის ისეთი წინამძღოლები, როგორიც იყვნენ ზალიზნიაკი, დოვბუში, კარმელუკი და სხვები.

მიუხედავად იმისა, რომ სტიქიური, არაორგანიზებული და დაქსაქსული იყო, ანტიფეოდალური მოძრაობანი, რომლებიც მოედო რუსეთის სხვადასხვა ეროვნების გლეხთა მასებს, ძირს უთხრიდნენ ბატონყმურ წყობილებას და რაზმავდნენ ამ მასებს საერთო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ფეოდალურ-ბატონყმური ჩაგვრისა და უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ გმირული ბრძოლის მსვლელობაში ვითარდებოდა და მტკიცდებოდა რუსეთისა და უკრაინის მშრომელთა საბრძოლო თანამეგობრობა.

9. რუსი, უკრაინელი და რუსეთის სხვა ხალხთა უბოროტესი მტერი იყო მეფის თვითმპყრობელობა. ეყრდნობოდა რა ადგილობრივ მემამულეთა და ბურჟუაზიის რეაქციულ ზედაფენას, ცარიზმი ახორციელებდა არარუს ხალხთა სასტიკი ეროვნულ-კოლონიური ჩაგვრის პოლიტიკას. უკრაინაში ცარიზმმა მოსპო ადგილობრივი თვითმმართველობა, მძვინვარედ ახშობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, ახშობდა უკრაინული სახელმწიფოებრიობის შექმნისადმი მისწრაფებას, ახორციელებდა ძალით რუსიფიკაციის პოლიტიკას, ბორკავდა უკრაინული ენისა და კულტურის განვითარებას.

10. ცარიზმისა და ბატონყმობის წინააღმდეგ რევოლუციურ განმათავისუფლებელ ბრძოლაში, რომელიც რუსეთში გაჩაღდა XIX საუკუნეში, წამყვან როლს ასრულებდა დიდი რუსი ხალხი.

ცარიზმის წინააღმდეგ რევოლუციონერ მებრძოლთა პირველი თაობა, რომელმაც განაგრძო რადიშჩევის რევოლუციური ტრადიციები, იყვნენ დეკაბრისტები. მათ 1825 წელს აჯანყება მოაწყეს პეტერბურგსა და უკრაინაში (ჩერნიგოვის პოლკის აჯანყება). დეკაბრისტების შემდეგ ცარიზმისა და ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლა გააჩაღეს დიდმა რუსმა რევოლუციონერმა დემოკრატებმა — ბელინსკიმ, გერცენმა, ჩერნიშევსკიმ, დობროლიუბოვმა.

მეფის რეაქციული პოლიტიკის — სასტიკი ეროვნულ-კოლონიური ჩაგვრის პოლიტიკის წინააღმდეგ რუსი ხალხის საუკეთესო შვილები ცნობდნენ უკრაინის ეროვნული დამოუკიდებლობის უფლებას და უკრაინელი ხალხის მოწინავე მოღვაწეებთან ერთად იბრძოდნენ რუსეთის ხალხთა ერთმანეთისათვის მისევის სამარცხვინო პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც ახორციელებდნენ რუსი და უკრაინელი მემამულეები და ბურჟუაზია და მათი დამქაშები — დიდმპყრობელური სულით გაჟღენთილი შოვინისტები და უკრაინელი ბურჟუაზიული ნაციონალისტები. რუსეთის რევოლუციონერი მოღვაწეები, ყოველთვის ცნობდნენ რა უკრაინელი ხალხის თავისუფალი ეროვნული განვითარების უფლებას, უკავშირებდნენ ამას ცარიზმის დამხობას და როგორც რუსი ხალხის, ისე უკრაინელი და ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხების განთავისუფლებას.

რუს რევოლუციონერ დემოკრატებთან მჭიდრო ერთიანობით ეწეოდა ცარიზმისა და ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლას უკრაინელი ხალხის დიდი შვილი, პოეტი და რევოლუციონერი დემოკრატი ტ. გ. შევჩენკო. მჩაგვრელებისადმი ძლიერი სიძულვილით გამსჭვალული თავისი ნაწარმოებებით მან უდიდესი როლი შეასრულა უკრაინელი ხალხის ეროვნული და სოციალური თვითშეგნების განვითარებაში. უკრაინელი ხალხის განთავისუფლების გზად მას უწინარეს ყოვლისა მიაჩნდა ყველა სლავი ხალხის რევოლუციური ერთიანობა რუს ხალხთან. შევჩენკო უკრაინული ბურჟუაზიული ნაციონალიზმისა და ლიბერალიზმის წინააღმდეგ შეურიგებელი მებრძოლი იყო.

რუს და უკრაინელ რევოლუციონერებთან ერთად ცარიზმის წინააღმდეგ იბრძოდნენ აგრეთვე პოლონელი რევოლუციონერი დემოკრატები. პოლონელი ხალხის საუკეთესო წარმომადგენლები ყოველთვის თანაუგრძნობდნენ უკრაინელი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლას.

11. კაპიტალიზმის განვითარებამ რუსეთში განაპირობა ახალი კლასის — პროლეტარიატის წარმოშობა. რუსი პროლეტარიატის სახით ჩვენი ქვეყნის ყველა ეროვნების მშრომელებმა ისტორიაში პირველად პოვეს საიმედო ხელმძღვანელი იმ ბრძოლაში, რომელსაც ისინი სოციალური და ეროვნული ჩაგვრის მოსპობისათვის ეწეოდნენ.

მრეწველობის განვითარებასთან ერთად უკრაინაში სწრაფად იზრდებოდა მუშათა კლასი, რომელიც ყალიბდებოდა როგორც უკრაინელი, ისე რუსი მოსახლეობისაგან. უკრაინის მუშათა კლასი რუსეთის პროლეტარიატის შემადგენელი ნაწილი იყო. მუშათა მოძრაობა უკრაინაში ვითარდებოდა სრულიად რუსეთის მუშათა მოძრაობასთან განუყრელი ერთიანობით. უკვე 70-80-იან წლებში უკრაინაში, ისევე როგორც რუსეთში, იქმნებოდა რევოლუციური მუშათა ორგანიზაციები, რომლებიც ამოცანად ისახავდნენ თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლას. უკრაინის მუშათა კლასი რუსეთის პროლეტარიატის ერთ-ერთი ყველაზე დიდი და მებრძოლი რაზმი იყო.

XIX საუკუნის დამლევს და XX საუკუნის დამდეგს მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ცენტრმა რუსეთში გადმოინაცვლა. რუსეთი იყო იმპერიალიზმის ყველა წინააღმდეგობის საკვანძო პუნქტი; იგი იყო სამხედრო-ფეოდალური, კოლონიური და კაპიტალისტური ჩაგვრის კერა. ცარიზმის, მემამულეებისა და ბურჟუაზიის მიერ მშრომელთა ჩაგვრას ემატებოდა რუსეთის იმპერიალისტური ძარცვა დასავლეთ ევროპის მონოპოლისტური კაპიტალის მიერ. ამავე დროს რუსეთში არსებობდა რეა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თ ე ზ ი ს ე ბ ი

## რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის შესახებ (1654—1954 წლები)

ლური ძალა, რომელსაც შეეძლო რევოლუციური გზით გადაეჭრა ყველა ეს წინააღმდეგობა: ეს ძალა იყო რუსეთის პროლეტარიატი.

რუსეთში მზარდი მუშათა მოძრაობის ამოცანები დაბეჯითებით მოითხოვდნენ რევოლუციური პროლეტარული პარტიის შექმნას. „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფმა, რომელმაც გააერთიანა მარქსიზმის პირველი წარმომადგენლები რუსეთში გ. ვ. პლეხანოვის მეთაურობით, XIX საუკუნის 80-იან წლებში თეორიული საფუძვლები ჩაუყარა რუსეთის რევოლუციურ მუშათა მოძრაობას. XIX საუკუნის 90-იან წლებში რუსეთის მუშათა კლასს სათავეში ჩაუდგა დიდი ლენინი. 1895 წელს პეტერბურგში ვ. ი. ლენინმა შექმნა „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი“, რომელიც რევოლუციური პროლეტარული პარტიის პირველი ჩანასახი იყო რუსეთში. ლენინის „ბრძოლის კავშირმა“ უდიდესი გავლენა მოახდინა მთელი რუსეთის რევოლუციურ მოძრაობაზე. უკრაინაშიც შეიქმნა ასეთი „კავშირები“ ეკატერინოსლავში, კიევსა და სხვა ქალაქებში. უკრაინაში, ისევე, როგორც რუსეთში, ლენინური მიმართულების სოციალდემოკრატიული ორგანიზაციები ხელმძღვანელობდნენ გაფიცვებს, ახორციელებდნენ მასობრივ აგიტაციაზე გადასვლას, აერთებდნენ სოციალიზმს მუშათა მოძრაობასთან.

12. რსდმპ II ყრილობაზე 1903 წელს შეიქმნა ახალი ტიპის მარქსისტული პარტია ვ. ი. ლენინის მიერ შემუშავებულ იდეურ და ორგანიზაციულ საწყისებზე. მუშათა მოძრაობაში სეპარატისტული და ნაციონალისტური ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლაში ვ. ი. ლენინმა დაიცვა ინტერნაციონალიზმის პრინციპი მარქსისტული პარტიის აგებაში. რსდმპ თავის რიგებში გააერთიანა რუსეთის ყველა ეროვნების რევოლუციონერი მუშები. თავიდანვე იგი გამოდიოდა როგორც პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის იდეოლოგიის მედროშე. რსდმპ II ყრილობაზე მიღებულ იქნა ლენინის საპროგრამო მოთხოვნა ეროვნულ საკითხზე— ერთა თვითგამორკვევის უფლების აღიარება.

რუსი მუშები იყვნენ მოთავენი მემამულურ-ბურჟუაზიული წყობილების წინააღმდეგ ბრძოლაში, ისინი რაზმავდნენ პროლეტარიატს და ეროვნული განაპირა მხარეების ყველა მშრომელს სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისთვის საბრძოლველად.

უკრაინის მშრომელები გმირ რუს პროლეტარიატთან ერთად თავდადებით იბრძოდნენ თავიანთი კლასობრივი მტრების წინააღმდეგ 1905-1907 წლების პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დროს. ამ პერიოდში უკრაინის მთელ რიგ ქალაქებსა და გუბერნიებში მოხდა დიდი აჯანყებები, აგრეთვე შავი ზღვის მეზღვაურთა აჯანყებები. ამ აჯანყებათა მსვლელობაში მოსკოვის, პეტერბურგისა და რუსეთის სხვა ქალაქების მაგალითისამებრ უკრაინის სამრეწველო ცენტრების მუშებმა შექმნეს მუშათა დეპუტატების საბჭოები, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების პირველ სახეს წარმოადგენდნენ. უკრაინის მუშათა და გლეხთა რევოლუციურ ბრძოლას თვალსაჩინო ადგილი ეკავა 1905-1907 წლების რევოლუციის საერთო მსვლელობაში.

სტოლიპინის რეაქციის, ახალი რევოლუციური აღმავლობის პერიოდში და პირველი მსოფლიო ომის წლებში უკრაინის, ისევე როგორც მთელი რუსეთის, მუშები კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმნენ რსდმპ (ბ) გარშემო თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

რუსეთში რევოლუციური მოძრაობის გავლენით ფართოვდებოდა ავსტრია-უნგრეთის მონარქიის უღელქვეშ მყოფი დასავლეთ უკრაინის მხარეების მშრომელთა ბრძოლა თავიანთი ეროვნული განთავისუფლებისათვის, მთელ უკრაინელ ხალხთან გაერთიანებისათვის.

დიდმა ლენინმა პირველად მარქსიზმის ისტორიაში შეიმუშავა პარტიის თეორიული პროგრამა და პოლიტიკა ეროვნულ საკითხზე. მან ცხადყო, რომ ეროვნული საკითხი პროლეტარიატის დიქტატურისათვის მუშათა კლასის საერთო რევოლუციური ბრძოლის შემადგენელი ნაწილია. ლენინი იყო ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და მეგობრობის პოლიტიკის შთამაგონებელი და პრაქტიკულად ხელმძღვანელობდა ამ პოლიტიკის განხორციელებას. ლენინის საპროგრამო მითითებებმა ეროვნულ საკითხზე სოციალისტური მშენებლობის გამოცდილების განზოგადების საფუძველზე შემდგომი შემოქმედებითი განვითარება პოვეს ი. ბ. სტალინის ნაწარმოებებსა და პარტიის გადაწყვეტილებებში. იცავდა რა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპს, პარტია მთელი ძალით აღნიშნავდა, რომ საჭიროა ყველა ერის პროლეტართა მოქმედების ერთიანობა და მათი დარაზმვა რუსეთის პროლეტარიატის გარშემო.

„ველიკოროს და უკრაინელ პროლეტართა ერთიანი მოქმედებისას, — წერდა ვ. ი. ლენინი,—თავისუფალი უკრაინა შესაძლებელია, ამ ერთიანობის გარეშე მასზე ლაპარაკიც კი ზედმეტია“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 20, გვ. 19).

უკრაინელი ბურჟუაზიული ნაციონალისტები, რომლებიც ინტერნაციონალიზმისა და რუსებთან უკრაინელი ხალხის ძმური კავშირის უბოროტესი მტრები იყვნენ, ცდილობდნენ მოეწამლათ მშრომელები ნაციონალიზმის შხამით, ჩაენერგათ მათთვის რუსი ხალხისადმი მტრობის გრძნობა, ჩამოეშორებინათ ისინი მჩაგვრელების წინააღმდეგ საერთო კლასობრივი ბრძოლისაგან და ამით იდეურად დაემორჩილებინათ უკრაინელი ბურჟუაზიისა და მემამულეების ანგარებითი კლასობრივი ინტერესებისადმი. მასების მოსატყუებლად ნაციონალისტები პროპაგანდას უწევდნენ იმ ანტიმეცნიერულ რეაქციულ „თეორიას“, რომ უკრაინელ ერს არა ჰყავს კლასები და ბურჟუაზია, და „ერთიანი ნაკადის“ „თეორიას“. ამასთან უკრაინელი ბურჟუაზიული ნაციონალისტები გამოდიოდნენ რუსეთის ცარიზმისა და ბურჟუაზიის მოკავშირეებად და უცხოეთის იმპერიალიზმის აგენტებად.

სათავეში ედგა რა მთელი რუსეთის მშრომელთა რევოლუციურ მოძრაობას, კომუნისტური პარტია გადაჭრით იბრძოდა როგორც დიდმპყრობელური რუსული შოვინიზმის წინააღმდეგ, ისე ბურჟუაზიული უკრაინული ნაციონალიზმის წინააღმდეგაც.

კომუნისტური პარტია იბრძოდა იმისათვის, რომ რუსეთის ჩაგრულ ეროვნებათა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა შეერთებოდა მუშათა ბრძოლას ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების წინააღმდეგ, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისათვის.

13. რევოლუციურ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ერთიანობა განაპირობებდა რუსი და უკრაინელი ხალხების კულტურული ურთიერთობის განმტკიცებას. პროგრესული რუსული კულტურა კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენდა მთელი უკრაინული კულტურის (ლიტერატურის, თეატრის, ფერწერის, მუსიკის) განვითარებაზე. თავის მხრივ მოწინავე უკრაინული კულტურა ამდიდრებდა რუსი ხალხის კულტურას და ღირსეული წვლილი შეჰქონდა მსოფლიო კულტურის განვითარებაში.

უკრაინაში, ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, მოწინავე საზოგადოებრივი აზრის განვითარება XIX საუკუნის დამლევიდან მიმდინარეობდა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების გავლენით.

ისტორიულ ასპარეზზე მსოფლიოში ყველაზე რევოლუციური რუსეთის პროლეტარიატისა და მისი მებრძოლი ავანგარდის — კომუნისტური პარტიის გამოჩენას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა რუსი, უკრაინელი და რუსეთის ყველა სხვა ხალხის შემდგომი განვითარებისათვის.

## III.

14. რუსეთის მუშათა კლასმა მშრომელ გლეხობასთან კავშირით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, განახორციელა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, დაამხო იმპერიალისტური ბურჟუაზიისა და მემამულეთა ხელისუფლება და დაამყარა პროლეტარიატის დიქტატურა.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფო, რომელმაც გამოაცხადა მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობის პოლიტიკა, რუსეთის ყველა ხალხის თანასწორობა და სუვერენობა, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშით დარაზმა ჩვენი სამშობლოს ხალხები ერთიან ძმურ ოჯახად.

რუსეთის ცენტრში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ ძლიერი ბიძგი მისცა მთელ რუსეთში პროლეტარული რევოლუციის განვითარებას. უკრაინელი ხალხი, რომელმაც დიდ რუს ხალხთან ერთად ერთობლივი რევოლუციური ბრძოლის ხანგრძლივი გზა განვლო, რუსი ძმების შემდეგ პირველი დაადგა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გზას, საფუძველი ჩაუყარა თავისი ისტორიის ახალ და დიად ეპოქას.

1917 წლის 25 დეკემბერს სრულიად უკრაინის საბჭოების პირველმა ყრილობამ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოაცხადა უკრაინა. გამოთქვა რა ერთსულოვნად უკრაინის მუშათა და გლეხთა ნება, ყრილობამ საქვეყნოდ გამოაცხადა, რომ საჭირო იყო საბჭოთა უკრაინის მჭიდრო კავშირი საბჭოთა რუსეთთან.

უკრაინის მუშათა კლასმა ბურჟუაზიისა და მემამულეთა ხელისუფლების დამხობისათვის თავისი თავდადებული ბრძოლით, ნაციონალისტური კონტრრევოლუციის წინააღმდეგ თავისი ბრძოლით ღირსეული წვლილი შეიტანა ჩვენს ქვეყანაში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების საქმეში.

განთავისუფლდა რა მემამულურ-ბურჟუაზიული ექსპლოატაციისა და ეროვნული ჩაგვრისაგან, უკრაინელი ხალხი თავისი ბედის სრულუფლებიანი ბატონ-პატრონი გახდა. რუსი ხალხის ძმური დახმარებით მან განახორციელა თავისი საუკუნეობრივი ოცნება — შექმნა ნამდვილად თავისუფალი, სუვერენული ეროვნული სახელმწიფო, რომელმაც თვალსაჩინო ადგილი დაიკავა საბჭოთა რესპუბლიკების ოჯახში.

უკრაინაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება და უკრაინის საბჭოთა სახელმწიფოს შექმნა მიღწეულ იქნა რევოლუციის ლენინური თეორიის და იმ მოძღვრების საფუძველზე, რომელიც ლენინმა შეიმუშავა ეროვნულ-კოლონიური საკითხის შესახებ, და ის საერთაშორისო იმპერიალიზმისა და მისი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური აგენტურის დიდი დამარცხება იყო.

15. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყნის ხალხებმა გარეშე მტრებისა და შინაური კონტრრევოლუციის წინააღმდეგ სასტიკი და სისხლისმღვრელი ბრძოლით დაიცვეს ოქტომბრის დიადი მონაპოვარნი, თავიანთი თავისუფლება და თავიანთი სამშობლოს დამოუკიდებლობა.

უკრაინელი ბურჟუაზიული ნაციონალისტები — მშრომელთა ეს უბოროტესი მტრები, ინიღბებოდნენ რა უკრაინის „სამოსტიინოსტის“ ყალბი ლოზუნგით, ცდილობდნენ მოესპოთ საბჭოთა ხელისუფლება, აღედგინათ მემამულეთა და კაპიტალისტთა უღელი, მიესიათ უკრაინელი მშრომლები რუსი მუშებისა და გლეხებისათვის, პროვოკაციით გამოეწვიათ ძმათამკვლელი ომი მათ შორის.

კონტრრევოლუციური ნაციონალისტური „მთავრობები“ — ცენტრალური რადა, დირექტორია და სხვები, რომლებსაც სათავეში ედგნენ უცხოეთის იმპერიალიზმის დაქირავებული აგენტები, როგორიც იყვნენ გრუშევსკი, ვინიჩენკო და პეტლიურა, რომლებიც ცდილობდნენ ხელისუფლება დაებრუნებინათ მემამულეებისა და კაპიტალისტებისათვის, აგრეთვე განემტკიცებინათ კულაკობის ბატონობა, უკრაინას, მის ხალხს და მთელ მის ბუნებრივ სიმდიდრეს ყიდდნენ, ბითუმად და ცალობრივ აძლევდნენ დასავლეთ ევროპის იმპერიალისტ მტაცებლებს. 1918 წლის თებერვალში კონტრრევოლუციურმა რადამ საბჭოთა ხელისუფლების ჩასახშობად ავსტრიელი და გერმანელი ოკუპანტები მიიწვია უკრაინაში.

უკრაინელი ხალხი კომუნისტური პარტიის მოწოდებით დაირაზმა ავსტრიელი და გერმანელი ინტერვენტებისა და მათი დამქაშების — უკრაინელი ბურჟუაზიული ნაციონალისტების წინააღმდეგ საბრძოლველად.

რუსი ხალხის მეთაურობით ჩვენი სამშობლოს მშრომელებმა გაანადგურეს და საბჭოთა ქვეყნიდან განდევნეს ინგლისელი და ფრანგი ინტერვენტები, რომლებმაც 1918 წლის დამლევს მოახდინეს უკრაინის სამხრეთი რაიონებისა და ყირიმის ოკუპაცია, დენიკინელები, თეთრგვარდიელი პოლონელები, ვრანგელელები, პეტლიურელთა და მახნოელთა ნაციონალისტური ბანდები და ამერიკის შეერთებული შტატებისა და ანტანტის იმპერიალისტების სხვა დაქირავებული აგენტები.

რუსეთის სხვა ხალხებთან ერთად უკრაინელმა ხალხმა, დაძლია რა უდიდესი სიძნელეები, მეურნეობის ნგრევა და შიმშილი, უცხოელთა სამხედრო ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის წლებში უდიდესი გმირობა და მამაცობა გამოიჩინა თავისი მშობლიური საბჭოთა ხელისუფლების დაცვაში. უკრაინელი ხალხისა და სსრ კავშირის სხვა ხალხების თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის უკრაინაში იბრძოდა საბჭოთა რუსეთის მრავალი ათასი მუშა და გლეხი.

თავის მხრივ უკრაინელი ხალხის მრავალი შვილი იბრძოდა სამოქალაქო ომის მრავალ ფრონტზე რუსეთში, ბელორუსიაში, შუა აზიაში, ამიერკავკასიაში და სხვ.

უცხოელ ინტერვენტთა და შინაური კონტრრევოლუციის გასანადგურებლად უკრაინელი ხალხის ძალების მობილიზაციაში თვალსაჩინო როლი ეკუთვნის 1918 წლის ივლისში შექმნილ უკრაინის კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის განუყრელ ნაწილს.

სამოქალაქო ომისა და უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის ქარცეცხლში მტკიცდებოდა და იწრთობოდა რუსი, უკრაინელი და სსრ კავშირის სხვა ხალხთა ძმური კავშირი და მეგობრობა. მხოლოდ ამ მეგობრობის მეოხებით უკრაინელმა ხალხმა, ისევე როგორც სსრ კავშირის ყველა ხალხმა, დაიცვა თავისი თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

16. სამოქალაქო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ საბჭოთა ქვეყანაში დაიწყო მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობის პერიოდი. სოციალიზმის მშენებლობისა და ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ამოცანები მოითხოვდნენ საბჭოთა ხალხების უფრო მჭიდრო თანამშრომლობას ეკონომიურ, სამხედრო და პოლიტიკურ დარგში. დღის წესრიგში დადგა ერთიან სახელმწიფო კავშირად საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების საკითხი. საბჭოთა უკრაინის მშრომლები ერთიანი საკავშირო სახელმწიფოს შექმნის ერთ-ერთი პირველი ინიციატორები იყვნენ.

კომუნისტური პარტია სათავეში ჩაუდგა და სწორი გზით წარმართა საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის გამაერთიანებელი მოძრაობა.

1922 წლის დეკემბერში საბჭოების პირველ სრულიად საკავშირო ყრილობაზე ნებაყოფლობისა და თანასწორუფლებიანობის საფუძველზე საბჭოთა რესპუბლიკები გაერთიანდნენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირად და თვითეულმა მოკავშირე რესპუბლიკამ შეინარჩუნა დამოუკიდებელი სახელმწიფოს სუვერენული უფლებები, რომელსაც აქვს ხელისუფლების თავისი უმაღლესი ორგანოები, თავისი ტერიტორია, თავისი კონსტიტუცია, თავისი კანონმდებლობა.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნა იყო საბჭოთა ხელისუფლების უდიდესი გამარჯვება, ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის ტრიუმფი. ეს იყო გამარჯვება ყველა ჯურის ბურჟუაზიულ ნაციონალიზმზე, რომელიც ილაშქრებდა ხალხთა ძმური თანამშრომლობის წინააღმდეგ და რომელიც სერიოზული დაბრკოლება იყო საბჭოთა რესპუბლიკების სახელმწიფო გაერთიანების გზაზე.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნამ უზრუნველყო ყველა საჭირო პირობა მთელი საბჭოთა ქვეყნის და თვითეული საბჭოთა რესპუბლიკის კაცობრიობის ისტორიაში უმაგალითო ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული აყვავებისათვის, მოწინავე სოციალისტურ ერებად წინათ ჩამორჩენილი და ჩაგრული ხალხების გადაქცევისათვის.

სსრ კავშირის შემადგენლობაში საბჭოთა უკრაინის შესვლამ შესაძლებლობა მისცა მას წარმატებით აღედგინა სახალხო მეურნეობა, განევითარებინა სოციალისტური კულტურა და სწრაფი ნაბიჯით წასულიყო წინ სოციალიზმის აშენებისაკენ.

## IV.

17. კომუნისტურმა პარტიამ, ხელმძღვანელობს რა მარქსისტულ-ლენინური თეორიით, შეიმუშავა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების პროგრამა. ახორციელებს რა ამ პროგრამას, საბჭოთა ხალხმა კაცობრიობის ისტორიაში პირველმა ააშენა ახალი საზოგადოებრივი წყობილება — სოციალიზმი, სამუდამოდ მოსპო ექსპლოატატორული კლასები, მოსპო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია.

ჩვენმა სამშობლომ, აღმოფხვრა რა საუკუნეობრივი სამეურნეო და კულტურული ჩამორჩენილობა, გიგანტური ნახტომი გააკეთა წინ, გადაიქცა მძლავრ სახელმწიფოდ დიდად განვითარებული ინდუსტრიით, სოციალისტური სოფლის მეურნეობით და მსოფლიოში ყველაზე მოწინავე საბჭოთა კულტურით.

სოციალიზმის გამარჯვების შედეგად ძირეული ცვლილებები მოხდა სსრ კავშირის ეკონომიკაში, საბჭოთა საზოგადოების კლასობრივ სტრუქტურაში, აგრეთვე ეროვნულ ურთიერთობათა დარგში. ექსპლოატატორული კლასების — ეროვნებათა შორის მტრობის დამნაშავეებისა და ორგანიზატორების მოსპობამ, ხელისუფლების სათავეში მუშათა კლასის ყოფნამ, რომელიც მტერია ყოველგვარი დამონებისა და ერთგული მატარებელია ინტერნაციონალიზმის იდეებისა, ხალხთა ურთიერთ დახმარებამ სამეურნეო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში, სსრ კავშირის ხალხთა ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის აყვავებამ — ყოველივე ამან გამოიწვია ის, რომ ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრდა ხალხთა ძმური თანამშრომლობა ერთიანი საკავშირო სახელმწიფოს სისტემაში, საბოლოოდ დამკვიდრდა რასებისა და ერების თანასწორუფლებიანობის საბჭოთა იდეოლოგია, ხალხთა მეგობრობისა და ძმობის იდეოლოგია.

სოციალიზმის გამარჯვების შემდეგ რუსი, უკრაინელი და ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხების საუკუნეობრივი მეგობრობა გადაიქცა მძლავრ, უძლეველ ძალად, საბჭოთა საზოგადოების განვითარების ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალად.

კომუნისტურმა პარტიამ გაანადგურა მოღალატეები და კაპიტულანტები — ტროცკისტები, ბუხარინელები, ბურჟუაზიული ნაციონალისტები და საბჭოთა ხალხის სხვა მტრები, რომლებიც ცდილობდნენ აეცდინათ საბჭოთა ქვეყანა ლენინური გზიდან, ძირი გამოეთხარათ სოციალისტური სამშობლოს ხალხთა ერთიანობისა და მეგობრობისათვის, აღედგინათ კაპიტალიზმი სსრ კავშირში.

საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ძველი ბურჟუაზიული ერების ბაზაზე პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშის ქვეშ ჩამოყალიბდნენ და წარმატებით ვითარდებიან ახალი სოციალისტური ერები, რომლებიც არიან ნამდვილად საყოველთაო სახალხო და დარაზმული ერები, თავისუფალნი შეურიგებელი კლასობრივი წინააღმდეგობებისაგან, რომლებიც ღრღნიან ბურჟუაზიულ ერებს.

მუშათა კლასი და მისი კომუნისტური პარტია ის ძალაა, რომელიც განამტკიცებს ამ ერების კავშირს და ხელმძღვანელობს მათ.

სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების მიღწევაში გადამწყვეტი როლი შეასრულა დიდმა რუსმა ხალხმა — წამყვანმა ერმა ჩვენი მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს ყველა თანასწორუფლებიან ერთა შორის.

საბჭოთა საზოგადოებრივმა წყობილებამ უკრაინელ ხალხს გაუხსნა მისი სახელმწიფოებრიობის, ეკონომიკისა და კულტურის განვითარების გზა.

კომუნისტურმა პარტიამ გაშალა დროშა, რომლის ქვეშაც დაიწყო უკრაინელი ხალხის ძალების გაფურჩქვნა, საბჭოთა უკრაინის ძალების გაფურჩქვნა. კომუნისტური პარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მთავრობა მუდმივ და დაუცხრომელ ზრუნვას იჩენდნენ და იჩენენ საბჭოთა უკრაინის სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის.

18. ახორციელებს რა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკას, საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოკლე ისტორიულ ვადაში შექმნა მძლავრი მოწინავე სოციალისტური მრეწველობა, რომელიც სოციალისტურ საფუძვლებზე მთელი სახალხო მეურნეობის გარდაქმნის გადამწყვეტი პირობა იყო.

რუსი ხალხის უდიდესი ძმური დახმარებით ყველა ეროვნულ რესპუბლიკაში შეიქმნა დიდად განვითარებული მრეწველობა, რომელმაც შესაძლებელი გახადა მათი საუკუნეობრივი სამეურნეო ჩამორჩენილობის ლიკვიდაცია. უკრაინაში ახლად შეიქმნა და მოწინავე თანამედროვე ტექნიკით აღიჭურვა ფერადი მეტალურგია, მანქანათმშენებელი, სატრაქტორო, ქიმიური და მრეწველობის სხვა უმნიშვნელოვანესი დარგები. აშენდა ისეთი სამრეწველო გიგანტები, როგორც ხარკოვის სატრაქტორო ქარხანა, კრამატორსკის მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხანა, მეტალურგიული კომბინატები „აზოვსტალი“, „ზაპოროჟსტალი“, ზაპოროჟიეს კომბაინების ქარხანა, გორლოვკის ქიმიური ქარხანა, აშენდა ვ. ი. ლენინის სახელობის დნეპრის ჰიდროელექტროსადგური, რომელიც უდიდესია ევროპაში; სავსებით რეკონსტრუირებულია დონეცის ქვანახშირისა და კრივოი როგის რკინის მადნის აუზები. ამ წლების მანძილზე სრულიად შეიცვალა და აყვავდა ისეთი დიდი სამრეწველო ქალაქები, როგორიც არის კიევი, ხარკოვი, სტალინო, ვოროშილოვგრადი და სხვები.

უკრაინის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის წარმატება უზრუნველყო მუშათა კლასის შრომითმა აღმავლობამ, რომელმაც გაშალა სოციალისტური შეჯიბრება, რუსეთის სფსრ და სხვა საბჭოთა რესპუბლიკების დახმარებამ.

სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის წარმატებებმა მოამზადა სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის განხორციელების პირობები. პარტიისა და მთავრობის ზრუნვის მეოხებით ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა მსოფლიოში ყველაზე მსხვილი და მექანიზებული სოფლის მეურნეობა, რომელმაც დაამტკიცა გადამწყვეტი უპირატესობა არა მარტო წვრილსაქონლო გლეხური მეურნეობის, არამედ მსხვილი კაპიტალისტური სასოფლო-სამეურნეო წარმოების წინაშეც.

საბჭოთა უკრაინა სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან ერთად გახდა მოწინავე სოციალისტური მიწათმოქმედების რესპუბლიკა, საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უდიდესი ბეღელი.

იმ გარემოებამ, რომ კომუნისტური პარტია თანმიმდევრულად ახორციელებს ლენინურ-სტალინურ ეროვნულ პოლიტიკას, უზრუნველყო ჩვენს ქვეყანაში კულტურული რევოლუციის გამარჯვება და სსრ კავშირის ყველა ხალხის სოციალისტური კულტურის სწრაფი აღმავლობა.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ შექმნეს ახალი საბჭოთა ინტელიგენციის მრავალრიცხოვანი ეროვნული კადრები, ინტელიგენციისა, რომელიც ხალხის წიაღიდან არის გამოსული, დაკავშირებულია ხალხთან და მთელ თავის ძალებს ახმარს ხალხის სამსახურს, კომუნიზმის მშენებლობის დიადი საქმის სამსახურს.

საბჭოთა ხელისუფლების მეოხებით უკრაინულ ეროვნულ კულტურას მიეცა თავისი განვითარების დღემდე უმაგალითო შესაძლებლობა, იგი გახდა ნამდვილად ხალხური, სოციალისტური კულტურა.

19. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ძალისა და ძლიერების ზრდამ შესაძლებელი გახადა განხორციელებულიყო უკრაინელი ხალხის საუკუნეობრივი მისწრაფება მისი ეროვნული გაერთიანებისათვის. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბრძნულმა პოლიტიკამ შესაძლებელი გახადა დამთავრებულიყო ყველა უკრაინული ტერიტორიის გაერთიანება. 1939 წელს მოხდა დასავლეთ უკრაინის გაერთიანება საბჭოთა უკრაინასთან, 1940 წელს უკრაინის სს რესპუბლიკასთან გაერთიანდა ბუკოვინა და იზმაილის ოლქი, ხოლო 1945 წელს ამიერკარპატის უკრაინა. უკრაინის მთელი მიწაწყლის გაერთიანების შემდეგ საბჭოთა უკრაინა გახდა ევროპის ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფო. უკრაინის სს რესპუბლიკაში ამჟამად 40 მილიონზე მეტი მოსახლეა.

მთელი რიგი ძირითადი ეკონომიური მაჩვენებლების მიხედვით საბჭოთა უკრაინამ შორს გაუსწრო ევროპის ისეთ მსხვილ კაპიტალისტურ ქვეყნებს, როგორიცაა საფრანგეთი, იტალია და სხვები. უკრაინის დედაქალაქი კიევი—რუსეთის უძველესი ქალაქი—ჩვენი სამშობლოს ერთ-ერთი უდიდესი ადმინისტრაციული და კულტურული ცენტრია.

უკრაინის გაერთიანებულ ოლქებში წარმატებით ვითარდება სოციალისტური მრეწველობა, დამთავრდა მთლიანი კოლექტივიზაცია, ფართოდ გაიშალა კულტურული მშენებლობა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში სახე იცვალა უკრაინის უძველესმა ქალაქმა ლვოვმა. იქ აშენდა დიდი სამრეწველო საწარმოები, გახსნილია 12 უმაღლესი სასწავლებელი, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილიალი, ვ. ი. ლენინის მუზეუმის ფილიალი და ბევრი სამეცნიერო და კულტურული დაწესებულება. სოციალისტური გარდაქმნების მსვლელობაში დასავლეთ ოლქებში გამანადგურებელი დარტყმა მიადგა უკრაინელი ბურჟუაზიული ნაციონალისტების — უკრაინელი ხალხის უბოროტესი მტრების ნაშთებს, რომლებიც უცხოეთის ბურჟუაზიის მოსყიდული აგენტები გახდნენ.

უკრაინის ერთიან საბჭოთა სახელმწიფოდ უკრაინელი ხალხის გაერთიანების ისტორიული პროცესის დამთავრება კომუნისტური პარტიის ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის—სსრ კავშირის ხალხთა ძმობისა და თანამშრომლობის პოლიტიკის თვალსაჩინო გამარჯვება იყო.

20. სოციალისტური წყობილებისა და საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობისა და ძალის სერიოზული შემოწმება იყო საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომი.

საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი ერთსულოვნად აღსდგა პარტიის მოწოდებით თავისი სამშობლოს დასაცავად და გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ სამამულო ომი მიიჩნია ყველა ეროვნების მშრომელთა საერთო საქმედ.

უკრაინა ეკუთვნის საბჭოთა კავშირის იმ რაიონებს, რომლებიც სხვებზე მეტად დაზარალდნენ გერმანიის ფაშისტების შემოსევის წლებში. გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა უკრაინის სახალხო მეურნეობას მიაყენეს 285 მილიარდ მანეთზე მეტი ზარალი. უსასტიკესი ტერორის საშუალებით გერმანელ ფაშისტ ურჩხულებს სურდათ დაემორჩილებინათ უკრაინელი ხალხი, გადაექციათ იგი „გერმანელ ფაშისტ ბატონთა რასის“ მონებად. გერმანელ ფაშისტთა აქტიურ დამხმარეებად გამოდიოდნენ უკრაინელი ბურჟუაზიული ნაციონალისტები.

მხოლოდ დიდი რუსი ხალხის და სსრ კავშირის სხვა ხალხთა ძმური დახმარების მეოხებით უკრაინა განთავისუფლებულ იქნა ფაშისტური მონობისაგან.

უკრაინელი ხალხი სამამულო ომის პერიოდში სსრ კავშირის სხვა ხალხებთან ერთად თავდადებით იბრძოდა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა და მათი დაქირავებული აგენტების წინააღმდეგ როგორც ფრონტზე, ისე მტრის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, სადაც გაიშალა მასობრივი პარტიზანული მოძრაობა, რომელმაც მრავალი გმირი წარმოშვა. არალეგალურად მის მეთაურობას იატაკქვეშეთში მუშაობდნენ პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები.

სამამულო ომის მსვლელობაში მკაცრ განსაცდელს გაუძლო და კიდევ უფრო გამოიწრთო საბჭოთა ხალხების ურღვევი მეგობრობა.

მეორე მსოფლიო ომში გერმანიის ფაშიზმისა და იაპონიის იმპერიალიზმის განადგურების შედეგად შეიქმნენ სახალხო დემოკრატიული სახელმწიფოები, გაიზარდა და განმტკიცდა მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკი, რომელსაც საბჭოთა კავშირი მეთაურობს. უკრაინის სსრ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთ-ერთი დამფუძნებელია, სადაც იგი ბელორუსიის სს რესპუბლიკასთან და მთელი საბჭოთა კავშირთან, აგრეთვე სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წარმომადგენლებთან ერთად თანმიმდევრულად იცავს მშვიდობის საქმეს, იბრძვის ყველა ქვეყნის ხალხთა თანამშრომლობის განმტკიცებისათვის. საბჭოთა უკრაინა განუწყვეტლივ განამტკიცებს ძმურ ურთიერთობას სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან. პოლონეთში სახალხო დემოკრატიული წყობილების დამყარებისა და ბურჟუაზიისა და მემამულეთა ბატონობის ლიკვიდაციის შემდეგ, რომელიც პოლონელ მშრომელებს უსისხლებდნენ თავიანთ სლავ ძმებს—რუსებს, უკრაინელებსა და ბელორუსებს, წარმოიშვა და წარმატებით ვითარდება პოლონელი ხალხის ნამდვილად მეგობრული ურთიერთობა უკრაინელ, ბელორუს, რუს და დიდი საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან.

21. დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ საბჭოთა კავშირის ხალხებმა, რომლებმაც

(დასასრული მე-4 გვერდზე).

# თეზისები

## რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის შესახებ (1654—1954 წლები)

(დასასრული).

აღაფრთოვანებს და რაზმავს კომუნისტური პარტია, უმაგალითო მოკლე ვადაში აღადგინეს დანგრეული სახალხო მეურნეობა და წინ წასწიეს საბჭოთა ეკონომიკის, ტექნიკისა და კულტურის ყველა დარგი.

საბჭოთა უკრაინის მშრომელებმა უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და უკრაინის სსრ მთავრობის ხელმძღვანელობით, რუსი და ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხების ძმურ დახმარებაზე დაყრდნობით, მთლიანად აღადგინეს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა, ბევრად გადააჭარბეს ომამდელ დონეს და ახლა მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

უკრაინის მსხვილმა მრეწველობამ 1952 წელს 17-ჯერ მეტი პროდუქცია გამოუშვა, ვიდრე რევოლუციამდელი უკრაინის მრეწველობამ. ელექტროენერგიის გამომუშავება ამ ხნის განმავლობაში 37-ჯერ და უფრო მეტად გაიზარდა; ლითონდამმუშავებელი მრეწველობის პროდუქცია გაიზარდა თითქმის 69-ჯერ; ქვანახშირის ამოღება გაიზარდა ერთიოთხად და უფრო მეტად; თუჯის გამოდნობა—4,5-ჯერ, ფოლადისა — თითქმის 5-ჯერ. საბჭოთა უკრაინა ჩვენი ქვეყნის ქვანახშირისა და მეტალურგიის უმნიშვნელოვანესი ბაზაა. დონბასს მისი მძლავრი ქვანახშირის მრეწველობით, მეტალურგიული, ქიმიური და მანქანათმშენებელი ინდუსტრიით, აგრეთვე უკრაინის სხვა სამრეწველო ცენტრებს დიდმნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ მთელი საბჭოთა კავშირის მრეწველობაში.

ახორციელებენ რა პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებს, უკრაინის, ისევე როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის, მშრომლები, მძიმე მრეწველობის განვითარებაში მიღწეულ წარმატებათა საფუძველზე, რომელიც სოციალისტური ეკონომიკის საფუძველთა საფუძველია, იბრძვიან სახალხო მოხმარების საგნების წარმოების მკვეთრი აღმავლობისათვის.

უკრაინის კოლმეურნე გლეხობამ თავისი თავდადებუ- [illegible]

[illegible] მეცნიერებათა აკადემია, არქიტექტურის აკადემია და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მრავალრიცხოვანი ქსელი, რომლებიც აერთიანებენ უკრაინის მრავალ მეცნიერს, რომელთაც თავიანთი ღირსეული წვლილი შეაქვთ მოწინავე საბჭოთა მეცნიერების განვითარებაში.

უკრაინელი ხალხის სოციალისტური კულტურის განვითარება მიმდინარეობს მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის გრანიტის საფუძველზე, სსრ კავშირის ყველა მოძმე ხალხის კულტურასთან ურღვევ შემოქმედებითი კავშირითა და ორგანული ურთიერთმოქმედებით. უკრაინული საბჭოთა კულტურის განვითარებაზე განსაკუთრებით კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს დიდი რუსი ხალხის სოციალისტური კულტურა.

საბჭოთა კავშირის და მისი შემადგენელი ნაწილის — უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მსოფლიო-ისტორიული წარმატებანი მთელი პროგრესული კაცობრიობის უდიდესი აღტაცებისა და აღიარების გრძნობას იწვევს.

კაპიტალისტური ქვეყნების მილიონობით მშრომელი, რომელნიც გმინავენ უსასტიკესი ექსპლოატაციის უღელქვეშ, დიდი სიამაყისა და იმედის გრძნობით ადევნებენ თვალყურს [illegible]

[illegible] ნისტურმა პარტიამ გააჩაღა ბრძოლა სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის, მსუბუქი და კვების მრეწველობის დაჩქარებული განვითარებისათვის, რათა უახლოეს 2-3 წელიწადში სავსებით დაკმაყოფილდეს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილება სასურსათო პროდუქტებზე და მსუბუქი და კვების მრეწველობა უზრუნველყოფილ იქნეს ნედლეულით.

ჩვენი პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მთელი მოღვაწეობა გამსჭვალულია ხალხისადმი, მუშებისა და გლეხების შემოქმედებითი ძალებისადმი ღრმა რწმენით, რომელნიც ქმნიან ცხოვრების მთელ სიკეთეს და რომელნიც ისტორიის ნამდვილი შემოქმედნი არიან.

საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო კომუნიზმის აშენების მთავარი იარაღია. კომუნისტური პარტია დაუცხრომლად ზრუნავს საბჭოთა სახელმწიფოს, მისი ძლიერებისა და თავდაცვისუნარიანობის შემდგომი განმტკიცებისათვის, მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირის, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობისა და სოციალისტური თანამშრომლობის განმტკიცებისათვის.

ჩვენი წმიდა მოვალეობაა უზრუნველვყოთ საბჭოთა ქვეყნის ხალხების ერთიანობისა და მეგობრობის შემდგომი განმტკიცება, საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს განმტკიცება. ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის პირობებში ჩვენთვის საშიში არ არის არავითარი მტერი, არც შინაური, არც გარეშე.

ჩაიფუშა და კვლავაც მარცხით დამთავრდება დასავლეთის იმპერიალისტების ყველა ვერაგული ცდა — მტრობა ჩამოაგდონ სსრ კავშირის ხალხთა შორის, ძირი გამოუთხარონ ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერებას. მაგრამ საბჭოთა ადამიანებმა იციან, რომ სანამ კაპიტალისტური გარემოცვა არსებობს, იმპერიალისტური სახელმწიფოები კვლავაც შემოგვიგზავნიან ჯაშუშებს, დივერსანტებს, შეეცდებიან ანტისაბჭოთა მიზნებით გამოიყენონ განადგურებულ მტრულ დაჯგუფებათა ნაშთები, გააქტიურონ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ელემენტები, გამოაცოცხლონ ნაციონალისტური ცრურწმენები ცალკეულ ადამიანთა შეგნებაში და გამოიყენონ ისინი სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის ძირის გამოსათხრელად.

იმპერიალისტი მტაცებლებისა და მათი აგენტურის — ყოველი ჯურის ბურჟუაზიული ნაციონალისტებისა და სხვა გამცემლების — ხრიკების წინააღმდეგ სიფხიზლის გაძლიერება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების და მთელი ჩვენი დიადი სამშობლოს წარმატებისა და აყვავების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა.

სსრ კავშირში კომუნისტური მშენებლობის წარმატებანი, ხალხთა მეგობრობის იდეოლოგიის გამარჯვება მთელი მსოფლიოს ხალხებს აღაფრთოვანებს კაპიტალის უღლისაგან თავიანთი განთავისუფლებისათვის და ყველა ხალხთა შორის მეგობრული, მშვიდობისმოყვარული ურთიერთობისათვის საბრძოლველად.

იცოცხლოს და განმტკიცდეს სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობა — ჩვენი დიადი სამშობლოს ძალისა და ძლიერების წყარო!

მარქს—ენგელს—ლენინ—სტალინის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

## საფრანგეთის კომპარტიის მოღვაწის დაპატიმრება

პარიზი, 10 იანვარი. (საკდესი). გუშინ კლერმონ-ფერანში დააპატიმრეს საფრანგეთის კომუნისტური პარტიის სენის დეპარტამენტის ფედერაციის მდივანი ანდრე სუკიერი, რომელიც იქ ჩავიდა, რომ მონაწილეობა მიეღო კომუნისტური პარტიის პიუი-დე-დომის დეპარტამენტის ფედერაციის კომიტეტის მუშაობაში. როგორც გაზეთი „ლუმანიტე-დიმანში" იუწყება, ეს დაპატიმრება მოხდა ორდერით, რომელიც ჯერ კიდევ 1952 წელს გაიცა.

კლერმონ-ფერანის მშრომელთა მრავალი დელეგაცია მივიდა პოლიციის კომისარიატში და მოითხოვა სუკიერის განთავისუფლება.

## ამერიკელთა და ლისინმანელთა მხეცობა სამხრეთ კორეაში

ფხენიანი, 9 იანვარი. (საკდესი). კორეის ცენტრალური დეპეშათა სააგენტო იუწყება, თუ რა ძალმომრეობას სჩადიან ლისინმანელთა და ამერიკელთა ჯარები სამხრეთ კორეის მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ სამხრეთ კორეის პარტიზანებთან ბრძოლის საბაბით.

სააგენტო აღნიშნავს, რომ ამერიკელები და ლისინმანელები სასტიკად უსწორდებიან სამხრეთ კორეის მშვიდობიან მცხოვრებლებს, წვავენ მათ ბინებსა და იტაცებენ ქონებას, აწყობენ დამსჯელ ექსპედიციებს. ცნობებით, რომლებიც გამოაქვეყნა „პარტიზანთა რაზმების წინააღმდეგ დამსჯელი ექსპედიციის შტაბმა", მარტო გასული წლის დეკემბერში დამსჯელმა ექსპედიციებმა სამხრეთ და ჩრდილოეთ ჩოლის, სამხრეთ და ჩრდილოეთ კენსანის პროვინციების 33 მაზრაში დაწვეს 17 ათასი კაცის ბინა, სურსათი ჩამოართვეს 658 ათას კაცს, რამდენიმე ასეულ ათას კაცს ჩამოართვეს ტანსაცმელი.

## ამერიკის ავიაციის გენერლების მომავალი ჩასვლა ტაივანზე

ლონდონი, 11 იანვარი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ტაიბეიდან (კუნძული ტაივანი) იუწყება, 12 იანვარს იქ ჩავა ამერიკის საჰაერო ძალების ორი უმაღლესი ოფიცერი — ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალი შორეულ აღმოსავლეთში გენერალი ვეილენდი და ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების სამედიცინო სამსახურის მთავარი ქირურგი გენერალ-მაიორი არმსტრონგი.

როგორც კორესპონდენტი იუწყება, ამ ვიზიტის მიზანი ის არის, რომ „ხელახლა შეაფასონ პოტენციური შესაძლებლობანი" გომინდანელთა სამხედრო-საჰაერო ძალებისა.

## იემენი პროტესტს უცხადებს ინგლისს

ლონდონი, 9 იანვარი. (საკდესი). იემენის დიპლომატიურმა მისიამ ლონდონში გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც გამოთქვამს პროტესტს ინგლისის ცდების წინააღმდეგ ჩამოაშოროს იემენს სამხრეთი ნაწილი და შემდეგ შეიყვანოს იგი არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთის სამთავროთა ფედერაციაში, რომელსაც ინგლისის კონტროლით აკოწიწებენ.

განცხადებაში ნათქვამია: „ინგლისის მთავრობამ, ინგლის-იემენის მეგობრობისა და ურთიერთ თანამშრომლობის 1934 წლის ხელშეკრულებისა და 1951 წლის შეთანხმების საწინააღმდეგოდ, ამას წინათ ჯარები გაგზავნა ორ სადავო რაიონში. ჯარები ძალით, მოსახლეობის სურვილის წინააღმდეგ შეიყვანეს.

თუმცა იემენის მთავრობა ცდილობს შეძლებისდაგვარად უღრმესად მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდეს ინგლისის მთავრობასა და ხალხთან, იგი ამ მოქმედებას განიხილავს როგორც აგრესიის აქტს, რომლის მიზანია ჩამოაშოროს იემენის ტერიტორიას მისი განუყოფელი ნაწილი.

ამას გარდა, ინგლისელი ხელისუფალნი ადენში აშინებენ ამ ქვეყნის სხვა სამხრეთ რაიონების ტომებს, ცდილობენ თავიანთ ძალაუფლებას დაუმორჩილონ ისინი, რაც ეწინააღმდეგება ინგლის-იემენის 1934 წლის ხელშეკრულებას".

# თბილისი

ქალაქის ქრონიკა





სურათზე: ზევით — მოტოგადარბენის მონაწილენი ლენინის მოედანზე. ქვემოთ (მარცხნიდან) — კომანდორის თანაშემწე ნ. კლდიაშვილი, კომანდორი ვ. ნავრუზაშვილი და გადარბენის უფროსი გ. ფაჩულია იხილავენ მოტოგადარბენის მარშრუტს.

ფოტო ვ. ზარიძისა.

## თბილისი—კიევი

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებთან ერთად საქართველოს სპორტსმენები ემზადებიან საბჭოთა ხალხის დიდი ზეიმის — რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის შესახვედრად. ეწყობა დღესასწაულისადმი მიძღვნილი სათხილამურო გადასვლები, კროსები, ტურისტული ლაშქრობები, ასპარეზობა სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

ამ ღირსშესანიშნავი თარიღის აღსანიშნავად გამართულ სპორტულ ღონისძიებათა შორის ერთ-ერთ რთულ და მასობრივ შეჯიბრებას წარმოადგენს მოტოგადარბენა თბილისი—კიევი, რომელსაც სტარტი მიეცა 10 იანვარს.

დილიდანვე ლენინის მოედანზე სპორტის მრავალმა მოყვარულმა მოიყარა თავი. 9 საათი და 30 წუთია. შორიდან მოისმის მოტორების გუგუნი. მალე მოტომრბოლთა კოლონა მოედანზე გამოჩნდა, მაყურებლები გულთბილად ხვდებიან სპორტსმენებს. მოტომრბოლებს მიესალმა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების ფიზკულტურისა და სპორტის სამმართველოს უფროსი გ. რცხილაძე. მოტოგადარბენაში მონაწილეთა სახელით სახელდახელო მიტინგზე სიტყვით გამოვიდა გადარბენის კომანდორი ვ. ნავრუზაშვილი.

გ. რცხილაძემ გადარბენის უფროსს გ. ფაჩულიას საზეიმოდ გადასცა დროშა წარწერით — „უკრაინელ სპორტსმენებს — საქართველოს სპორტსმენებისაგან".

მოტოციკლების მოტორები კვლავ აგუგუნდნენ, კომანდორის ნიშანზე კოლონა ადგილიდან დაიძრა, წრე შემოუარა ლენინის მოედანს და უკრაინის დედაქალაქისაკენ — კიევისაკენ გაემართა.

— კეთილი იყოს თქვენი მგზავრობა, სალამი მოძმე უკრაინელ ხალხს! — ამ სიტყვებით გააცილეს თბილისელმა მშრომელებმა ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის სპორტსმენი მოტომრბოლები.

მოტოგადარბენაში თბილისი — კიევი მონაწილეობას იღებს 15 მოტოციკლი და 3 ავტომანქანა 29 სპორტსმენით. გადარბენის მარშრუტი ასეთია: თბილისი — ქუთაისი — სუხუმი — სოჭი — ტუაფსე — ტამანი — ქერჩი — სიმფეროპოლი — ჯანკოი — მელიტოპოლი — დნეპროპეტროვსკი — კრემენჩუგი — ჩერკასი — კიევი. ამ მარშრუტით სპორტსმენებმა ზამთრის რთულ პირობებში უნდა გაიარონ 2.500 კილომეტრი მანძილი.

მოტოგადარბენის მონაწილენი კიევში უკრაინელ ხალხს გადასცემენ მოძმე ქართველი ხალხის მხურვალე სალამს, დროშას, სამახსოვრო ალბომს.

## მასწავლებელთა სემინარი

თბილისში ხუთ დღეს მიმდინარეობდა რკინიგზის, სამთო-სამრეწველო და სპეციალური სახელოსნო სასწავლებლების პოლიტიკური საგნების მასწავლებელთა ზონალური სემინარი.

სემინარის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს აზერბაიჯანის, სომხეთის, დაღესტნის, ჩრდილოეთ ოსეთის და საქართველოს მასწავლებლებმა. მათ ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი მუშაობის გამოცდილება, მოისმინეს მოხსენებები სკოლებში პოლიტიკური საგნების სწავლების მდგომარეობისა და გაუმჯობესების, პროფგანათლების სისტემის სკოლებში კომკავშირული ამოცანების შესახებ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 50 წლისთავის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებების, რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის და სხვა საკითხებზე.

## საქართველოს კ. პ. თბილისის საქალაქო კომიტეტთან არსებულ ლექტორიუმში

12 იანვარს საღამოს 8 საათზე ლ. კეცხოველის სახელობის ბიბლიოთეკაში შედგება ლექცია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის დამოუკიდებლად შემსწავლელთათვის თემაზე: „კომუნისტური პარტიის ორგანიზაციული საფუძვლები". ლექტორი დოცენტი პ. თავხელიძე.

12 იანვარს საღამოს 8 საათზე აქვე შედგება ლექცია დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის დამოუკიდებლად შემსწავლელთათვის თემაზე: „მოძრაობა და განვითარება ბუნებასა და საზოგადოებაში". ლექტორი ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი გ. ასათიანი.

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.

## გერმანიის ერთიანობის საკითხთა კომიტეტის განცხადება

ბერლინი, 10 იანვარი. (საკდესი). ადნ-ის სააგენტო იუწყება:

გერმანიის ერთიანობის საკითხთა კომიტეტმა გააკეთა განცხადება, რომელშიც ნათქვამია:

დასავლეთ გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობას სურს, რომ ბუნდესტაგმა ჯერ კიდევ ოთხი სახელმწიფოს თათბირამდე შეცვალოს ძირითადი კანონი, რათა გზა გაეხსნას სამხედრო ბეგრის შემოღებას.

როგორც დადგენილია, დასავლეთ გერმანიის მთავრობის მეთაურმა ყველაფერი გააკეთა, რომ ხელი შეეშალა ოთხი დიდი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის მოწვევისათვის. მას შემდეგ, რაც ეს ვერ მოახერხა, მას თავიდანვე განზრახული აქვს ხელი შეუშალოს ოთხი სახელმწიფოს თათბირის წარმატებით განხორციელებას და დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის გზით შექმნას მომხდარი ფაქტები. ეს ყველაზე მეტად გაართულებდა მდგომარეობას გერმანიაში და საერთაშორისო მდგომარეობას. ევროპის ხალხები და, უწინარეს ყოვლისა, გერმანელი ხალხი უარყოფენ ევროპის თავდაცვით გაერთიანებას და დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციას ამერიკელი ოფიცრებისა და ჰიტლერელი გენერლების სარდლობით. ამიტომ ადენაუერი მოქმედებს როგორც მშვიდობის დამრღვევი ევროპაში და ევროპის უშიშროების მტერი, როცა დღის წესრიგში გერმანიის გაერთიანების ნაცვლად დასავლეთ გერმანიის არმიის შეიარაღებას აყენებს.

გერმანელ ხალხს მიაჩნია, რომ გერმანული პოლიტიკის დღის წესრიგში არ უნდა იდგეს სამხედრო კანონი, რადგან გერმანიის მილიტარიზმის აღდგენა ახალი დაბრკოლებაა მშვიდობისა და გერმანიის დემოკრატიული გაერთიანების გზაზე. დღის წესრიგში უნდა იდგეს საკითხი იმის შესახებ, რომ ბერლინის თათბირზე გაიგზავნონ დასავლეთ გერმანიის ფედერალური რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლები, რათა დიდი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის მიერ დემოკრატიული, თავისუფალი, დამოუკიდებელი გერმანიის გაერთიანებისა და გერმანიასთან ზავის ხელშეკრულების საკითხის განხილვისას ისინი წარმოადგენდნენ გერმანელი ხალხის თვალსაზრისსა და ინტერესებს.

ადენაუერის ახალმა ცდამ — ხელი შეუშალოს თათბირს — მთელი გერმანელი ხალხის შეშფოთება უნდა გამოიწვიოს. პატრიოტებო, შოვინიზმის მტრებო, დემოკრატებო, მშვიდობის მეგობრებო გერმანიაში, დაიწყეთ მოქმედება და თქვენი მოქმედებით ხელი შეუშალეთ ახალ ლახვარს მშვიდობის საქმისადმი! კამათი სამხედრო კანონის შესახებ ბუნდესტაგში არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაიმართოს. ბოლო უნდა მოეღოს საერთაშორისო მდგომარეობის გამწვავების პოლიტიკას, რომელსაც ადენაუერი ახორციელებს, რათა საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი იყოს ის, რასაც მოელის მისგან ყველა ხალხი — ნაბიჯი წინ იმ გზაზე, რომელიც უზრუნველყოფს მშვიდობას ევროპაში და მთელ მსოფლიოში და რომელიც გერმანიას მიიყვანს ერთიანობამდე.

## ჰასტინგსის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე

ლონდონი, 9 იანვარი. (საკდესი). ჰასტინგსის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის უკანასკნელ ტურში მწვავე ბრძოლა გაჩაღდა ტოლუშსა და ინგლისელ მოჭადრაკე ალექსანდერს შორის. ტოლუშმა, რომელიც თავის შესაძლებლობებზე გაცილებით უფრო სუსტად თამაშობდა, დაუშვა მთელი რიგი არასიზუსტენი, დაკარგა ფიგურა და 28-ე სვლაზე თავი დამარცხებულად ცნო.

ბრონშტეინის პარტია გერმანელ მოჭადრაკე ტეშნერთან გადადებულია.

დღის მეორე ნახევარში გაიმართა რამდენჯერმე გადადებული პარტიის გათამაშება ბრონშტეინსა და ალექსანდერს შორის. ალექსანდერმა შეძლო გაენადგურებინა თავისი ორი პაიკის უპირატესობა და პარტია მოიგო.

მონაწილეთა მდგომარეობა სატურნირო ცხრილში ასეთია: ალექსანდერს აქვს 6,5 ქულა, ბრონშტეინს — 5,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია, ოკელის — 5,5 ქულა, ტეშნერს — 4,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია, ტოლუშს, მატანოვიჩს, ოლაფსონს — 4,5 ქულა თვითეულს, ტარტაკოვერს — 3,5 ქულა, უეიდს — 3 და ჰორნს — 2 ქულა.

ლონდონი, 9 იანვარი. (საკდესი). ჰასტინგსის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე გადადებული პარტიის გათამაშების დროს ბრონშტეინმა მოუგო ტეშნერს (დასავლეთი გერმანია). ამის შედეგად ბრონშტეინმა და ინგლისელმა მოჭადრაკემ ალექსანდერმა, რომელთაგან თვითეულმა 6,5 ქულა მოაგროვეს, გაიყვეს ტურნირის პირველი და მეორე ადგილები.


სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ქიმიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1954 წ. 23 იანვარს დღის 3 საათზე № 67 აუდიტორიაში (უნივერსიტეტის ქ. № 3) ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად ნინო ვლადიმერის ასული მჭარეულიშვილი დაიცავს დისერტაციას თემაზე: „ზოგიერთი მეტალის ჰიდროჟანგების წარმოშობის რეაქციების შესწავლა ფიზიკა-ქიმიური ანალიზის მეთოდების დახმარებით".

ოფიციალური ოპონენტები: პროფესორი მ. ბექაია, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი ვ. ხუხია.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1954 წ. 22 იანვარს დღის 1 საათზე № 86 აუდიტორიაში (უნივერსიტეტის ქ. № 1) ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე მუჯირი დაიცავს დისერტაციას თემაზე: „კოლონიებისა და დამოკიდებული ქვეყნების ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობა, როგორც პროლეტარული რევოლუციის პირდაპირი რეზერვი".

ოფიციალური ოპონენტები: პროფესორი ხ. ბერაძე, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი ო. ჩიორაძე.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

| | |
|---|---|
| 13 იანვარს | ჯ. პუჩინი — ტოსკა |
| 14 იანვარს | ჟ. ბიზე — კარმენი |

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

შვილები მერი, ოლია, გრიგოლ, ალიო, დავით ადამიები, რძლები ლუბა, ელენე, ანელი, შვილიშვილები უჩა, თამაზ, ელენე, ასმათ იუწყებიან კონსტანტინე მაქსიმეს-ძე ადამიას გარდაცვალებას. დაკრძალვა 16-I სოფ. ეკში (ცხაკაიას რაიონი).

მეუღლე მართა, შვილები ვლადიმერ, შალვა, ელენე, მარიამ, ვერა გეჯაძეები, სიძეები პ. ქურდოვანიძე, ვ. დანელია, რძლები ნინო, ნუნუ გეჯაძეები და შვილიშვილები იუწყებიან იოსებ ვასილის-ძე გეჯაძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 14-I, 4 ს. სოფელ მეტეხში.

ძმა ქრისტეფორე, დები მარო, აგრაფინა, დისწულები კუკური, შალვა, ალიოშა, შოთა, რძლები ლიდა, ნაზიკო, თინა, სიძეები ს. ჯიჯეიშვილი, ქ. არველაძე, ნ. ქუთათელაძე შვილებით იუწყებიან ელისო ბესარიონის ასულ სტურუას გარდაცვალებას. დაკრძალვა ხუნჯულორში (სამტრედიის რ.).

შვილები ელენე, თამარ, ნინო, რძალი ოსანა, შვილიშვილი ლეილა იუწყებიან ექიმ კლემენტი კონსტანტინეს-ძე თოფურიძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 12, 13-I, 8 ს. გამოსვენება 14-I, 4 ს. ელბაქიძის დაღმართი 3/5.

კალინინის რაიონის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების ბავშვთა სანატორიუმის თანამშრომლები იუწყებიან გრიგოლ არტემისძე სეფერთელაძის გარდაცვალებას.

შვილები ნინო, თამარ, მარი, ელო, ქეთო, ფატი, სიძეები ი. ზაუტაშვილი, ზ. შათირიშვილი, ქ. დავითაშვილი, ლ. გრიგოლია, ბ. გრიგორიანი, ო. მათიკაშვილი, რძალი მედეა, ანა ვარდიაშვილი ოჯახებით იუწყებიან მარიამ იაკობის ასულ მათიკაშვილი-ყაზახაშვილის გარდაცვალებას. დაკრძალვა 13-I ქ. თელავში. გამოსვენება ბინიდან მარქსის ქ. № 64.

სანკულტურის თეატრის და სახლის კოლექტივი იუწყება ამავე თეატრის მსახიობის გრიგოლ მიხეილის-ძე პავლიაშვილის გარდაცვალებას. პანაშვიდი 13-I, 7 ს. გამოსვენება 14-I, 3½ ს. ფიროსმანის ქ. № 33.

სამტრესტის ღვინის მეორე ქარხნის კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს ამავე ქარხნის დირექტორს გრიგოლ დევიძეს მისი სიმამრის ისაკი ზაქარიას-ძე აიწურაძის გარდაცვალების გამო.

მეუღლე ეთერ, შვილი ოთარ დანელიები, სიმამრი ვალერიან, სიდედრი ოლია, ცოლისდები ლილი, თამარ მეუღლით სერგო გაგუათი იუწყებიან შალვა ოლიფანტეს-ძე დანელიას გარდაცვალებას. დაკრძალვა 17-I სოფელ ნაჯახოვოში (გეგეჭკორის რაიონი).

საქართველოს სსრ სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ რ. ცისკარიძეს მისი ძმის მიხეილ ლუკას-ძე ცისკარიძის გარდაცვალების გამო.

მეუღლე ქეთევან, შვილები ფედია, იგა, ლიოვა, რძლები ნატალია, მარო, როზა, ლელი ოვჩარენკოები შვილებით, ცოლისდა ელენე სულხანიშვილი იუწყებიან მიხეილ თეოდორეს-ძე ოვჩარენკოს გარდაცვალებას. დაკრძალვა 13-I 4 ს. ქ. თელავში. გამოსვენება ბინიდან, ჯორჯიაშვილის II შესახ. № 2.

მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ვ. ოდიკაძეს მისი მამის ვლადიმერ ალფეზის-ძე ოდიკაძის გარდაცვალების გამო.



რედაქციის, გამომცემლობის და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: [illegible] — 8-63-03, 8-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 8-08-67, ხამდივნოხი — 8-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: [illegible]

[illegible]

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი"